ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ეროვნულკეთილშობილური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 28 (1363) | 21-31 აგვისტო, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებული განსჯის საგანია მომავალი აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების საკითხები. ყველას აინტერესებს, თუ როგორი მთავრობა გვეყოლება, რა პრინციპით მოხდება მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება და როგორი პიროვნებებით დაკომპლექტდება იგი.

სწორედ ამ საკითხებზე გვესაუბრებიან რესპუბლიკის პარლამენტისა და მთავრობის წევრები.

თამარ ჩხეიძე

ის, რომ მთავრობა უნდა იყოს დაკომპლექტებული მაღალპროფესიონალი ადამიანებით, თავისთავად ცხადია. ასევე, თავისთავად ცხადია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ყოველი ახალი წევრი უნდა გამოირჩეოდეს პატიოსნებით, რაც სამწუხაროდ დეფიციტს წარმოადგენდა ძველი კაბინეტის რიგი წევრებისათვის. ასევე ბუნებრივია მოვითხოვოთ ახალი მთავრობისაგან ეკონომიკის ღრმა ცოდნა, რამაც ყოველივე ზემოთქმულთან ერთად უნდა შეაძლებინოს ახალ შემადგენლობას გაატაროს ძირეული რეფორმები.

მთავარზე უმთავრესი მაინც ის არის, კაბინეტის წევრები გახდნენ ის ადამიანები, რომლებიც არ წაიყვანენ ქვეყანას ესენგეს „სამოთხისაკენ“: მათ უბრალოდ ალერგია უნდა ჰქონდეთ ამ ოდიოზურ კავშირზე, რომლისკენაც მიილტვოდნენ არანაკლებ ოდიოზური ძველი კაბინეტის წევრები. იგივე უნდა ითქვას იმ ეკონომიკურ კავშირებზე, ხელშეკრულების დადებაზე, რომელსაც და რა პირობითაც გვთავაზობს რუსეთი.

გამომდინარე იქიდან, თუ როგორი კანდიდატურები იქნება შემოთავაზებული პარლამენტისათვის შევარდნაძისა და მისი გუნდის მიერ, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ანტირეფორმისტული მთავრობა. ბუნებრივია, მისი ანტირეფორმისტულობა ნიშნავს სოციალისტურობას. არ არის გამორიცხული მოხდეს ისე, რომ მთავრობის დაკომპლექტებაში გადამწყვეტი როლი ითამაშონ ნეოკომუნისტებმა. მხედველობაში მყავს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

მაგრამ პარლამენტის ჯანსაღი ძალები, დღევანდელი ოპოზიცია აცნობიერებს რა ამ საფრთხეს, იმედია შესძლებს კონსოლიდაციას და არ დაუშვებს მთავრობაში რეტროგრადული ძალების მოსვლას. უკან დასაბრუნებელი გზა, გნებავთ ეკონომიკურად, გნებავთ პოლიტიკურად არის საქართველოს საბოლოო დასამარების გზა. მე მწამს, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და ჩვენ შევძლებთ ქვეყნისათვის მომაკვდინებელი საფრთხის თავიდან აცილებას. ამის საშუალება ნამდვილად არის.

რომან გოცირიძე

ჩემის აზრით, კაბინეტი იქნება ეკლექტური, კომუნისტურ-რეტროგრადული, რეფორმისტული და მერყევი შეხედულებების მქონე პირების ნაზავი. რეალური ძალთა თანაფარდობა და კაბინეტის სპონტანური გადადგომა, „ჩრდილოვანი კაბინეტის“ უქონლობა და დომინირებული კურსის შეუთანხმებლობა სხვას უკეთეს ამ ეტაპზე არაფერს გვიქადის.

თუმცა, თუ იქნება მიღებული ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და მთავრობა გამოცდილი სამეურნეო თუ პარტიული ფუნქციონერების ნაცვლად გონიერი, პოლიტიკური ალღოს მქონე, რეალისტი, უმეტესწილად ახალგაზრდა და საშუალო ასაკის პირებით დაკომპლექტდება, ეს კრიზისის შერბილების მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.

რაც შეეხება გამოცდილ პირებს, სავალდებულო არაა, რომ ისინი მუდამ პირველ ნომრებად ფიგურირებდნენ. გამოცდილი სახელმწიფო და სამეურნეო მოხელეები სახელმწიფო ხელისუფლების წონასწორობის, უძრაობის (ამ სიტყვის კარგი, სტაბილურობის გაგებით) გარანტიაა, ხოლო მამოძრავებლების, სახელმწიფო მანქანის ამძრავი, წინ გამწევი მექანიზმების როლში შესაბამისი ფუნქციისა და ყაიდის ადამიანები უნდა გამოდიოდნენ.

დღეს ჩვენ გვჭირდება ნრვატორი, გონივრულად რისკიანი ადამიანები. თუ ამ სახით არ დაკომპლექტდა დღევანდელი მთავრობა, იგი ოთხ თვეზე მეტს ვერ გასტანს, რაც ქვეყანაში კრიზისის შემდგომი გაღრმავების მიზეზი შეიძლება გახდეს.

ამისათვის პასუხისმგებლობა კი ყველამ თავისი „წონისა“ და „ზომის“ მიხედვით უნდა იკისროს.

ვახტანგ ხმალაძე



ძალიან მოკლედ თუ ვიტყვით, ჩვენ გვინდა მთავრობა, რომელიც შესძლებს, ისეთი პოლიტიკის გამომუშავება-გატარებას, რომლითაც დაიწყება ქვეყნის გამოყვანა დღეს არსებული უმძიმესი მდგომარეობიდან. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ახალი მთავრობა? მან უნდა იცოდეს, რისი გაკეთებაა საჭირო ქვეყნისათვის, როგორ უნდა გააკეთოს, და რაც მთავარია მის ყველა ქმედებას საფუძვლად მხოლოდ ქვეყნის ინტერესები უნდა ედოს.

სხვაგვარად თუ ვიტყვით, იგი უნდა იყოს დაკომპლექტებული პატიოსანი და პატრიოტი ხალხით.

ასეთი ხალხი, რასაკვირველია იმასთან ერთად, რომ შესაბამისი პროფესიული დონეც ჰქონდეს, საქართველოში არის. სწორედ მათ უნდა მიენდოს ქვეყნის მართვა. უნდა შეწყდეს მინისტრთა კანდიდატურების ძებნა მხოლოდ იმ წრეში, რომელიც დღემდე მართავდა ქვეყანას.

აუცილებელია ერთიც აღინიშნოს, რაგინდ მცოდნე, პატრიოტი და პატიოსანი პირებიც არ უნდა დაინიშნონ, ისინი ვერაფერს შეძლებენ, თუ არ შეიცვალა მინისტრთა კაბინეტისა და საერთოდ მმართველობითი სისტემის სტრუქტურა, მათი ფუნქციური როლი.

თავისუფალ სახელმწიფოს და თავისუფალ ეკონომიკას სრულიად განსხვავებული მმართველობითი სტრუქტურა სჭირდება. ამას გარდა, აუცილებელია, კოორდინირებული მოქმედება მმართველობის ყველა სფეროსი. ეს კი, მხოლოდ კაბინეტურ პრინციპზე დამყარებული თანამოაზრეთა გუნდითაა შესაძლებელი.

აუცილებელია სამინისტროებს ჩამოსცილდეს სამეურნეო ფუნქციები. სამინისტროები უნდა განსაზღვრავდნენ დარგის განვითარების სტრატეგიას, უნდა იძლეოდნენ რეკომენდაციებს, ახდენდნენ შესაბამისი დარგის სამეურნეო ერთეულების მუშაობის კოორდინირებას.

მინისტრთა კაბინეტი მთლიანად უნდა იყოს პასუხისმგებელი ქვეყანაში მიმდინარე ნებისმიერ პროცესზე, ანუ მინისტრი ისევე უნდა იყოს პასუხისმგებელი წესრიგზე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი საფინანსო პოლიტიკაზე.

თუ არ ჩავატარეთ რეორგანიზაცია მთავრობისა, ჩვენ ვერ შევძლებთ ვერც წესრიგის დამყარებას, ვერც რეფორმების და ვერც, როგორც შედეგი, სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას. ორიოდე წელიწადში საქართველო გაქრება მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან. იგი იქცევა ერთ-ერთი [illegible]ზობელი სახელმწიფოს [illegible]ად.

თუმცა [illegible] კიდევ მაქვს იმედი, [illegible]მ სწორი გზით წავალთ. ამას უახლოესი დღეები გვიჩვენებს. თუ გამართლდა უარესის მოლოდინი, ანუ არ გაკეთდა ყოველივე ის, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე, კრახი გარდაუვალია და ეს ძალიან სწრაფად მოხდება.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

მერაბ მეტრეველი

ველი კომპეტენტურ, ... მებრძოლ მთავრო- ... ველა ეს თვისება ნორ-

მალური ქვეყნისათვის, ცხადია აქსიომაა, მაგრამ სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით საქართველოზე. ჩვენს უახლოეს ისტორიაში სანთლით არაა საძებარი იმის მაგალითები, რომ ამა თუ იმ დარგს ხელმძღვანელობდნენ სრულიად სხვა დარგის წარმომადგენლები. ხანდახან კი, მინისტრის პორტფელის ჩასაგდებად სპეციალობა სულაც არ იყო საჭირო.

რაც შეეხება პატიოსნებას, პირველი მოთხოვნის მსგავსად, ძალიან იგრძნობდა მისი დეფიციტი. ამის გარეშეკი, სამართლიანი, დემოკრატიული ქვეყნის აშენება წარმოუდგენელია.

ხოლო თუ მთავრობა მებრძოლი არაა, ძალას კარგავს ზემოთ აღნიშნული ორივე თვისება. იგი იქცევა სატელიტად, რომელიც ბრმად ემორჩილება განმკარგულებელ ხელისუფლებას.

აქვე მინდა ერთიც დავამატო: დღევანდელი მთავრობა და უპირველესად მისი პრემიერი, ზედმიწევნით ღრმად უნდა იცნობდეს არა მარტო ქვეყნის გაჭირვებიდან გამოყვანის გზებს, არამედ იმ მაფიოზურ კლანებსაც, რომლებიც მხოლოდ პირადი გამდიდრებისათვის ზრუნავენ და დანაშაულებრივი საშუალებებით ცდილობენ ხელი შეუშალონ საქართველოში მშვიდობის და ნორმალური, სამართლებრივი ყოფა-ცხოვრების დამყარებას.

ეს ძალები იმდენად დიდი, სერიოზული და საშიშია, რომ მასთან პირდაპირი გზებით ბრძოლა სიცოცხლისთვის სახიფათოა. მათი გაუვნებელყოფა მხოლოდ ღრმად გაანალიზებული ლავირების საშუალებებითაა შესაძლებელი. მე არ ვიცი ამის მზამზარეული რეცეპტი და არც ის, საერთოდ არსებობს თუ არა იგი, მაგრამ მისი მექანიზმი დაახლოებით ასე წარმომიდგენია — მცირე დათმობებით დიდი გამარჯვება.

მეორე კითხვა პარლამენტარისთვის გარკვეულ უხერხულობას შეიცავს — ველით დაახლოებით ისეთ მთავრობას, როგორიც ზემოთ მოგახსენეთ, სხვა შემთხვევაში, დამერწმუნეთ, პარლამენტში არის ძალები, რომ აღარ დავუშვათ აღმასრულებელ სტრუქტურებში შემთხვევითი კადრები.

... ეკონომიკა



გაიოზ როგავა



აუცილებლად გვინდა ნორმალური აღმასრულებელი ხელისუფლება. სხვანაირად საქართველოს ეკონომიკასა და მთლიანად ქვეყანასაც დაღუპვა ელის. მთავრობამ უნდა განახორციელოს რეალური ეკონომიკური რეფორმები. ეს მის მიმართ ერთადერთი და უპირობო მოთხოვნაა. მაგრამ ეს რომ შესძლოს მთავრობამ, ამისათვის საჭიროა იგი დაკომპლექტებული იყოს პროფესიონალებით. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ამას უნდა მივაღწიოთ. ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას დიდი ძალისხმევა და დიდი თავგანწირვა სჭირდება. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ახალ მთავრობას არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა მოუწევს, რაც კაბინეტის შემადგენლობაში მყოფი ადამიანების პოლიტიკურ რეიტინგს შეიწირავს — ისინი ამაზე უნდა წავიდნენ.

თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორი კანდიდატურები შემოგვთავაზა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, კარგს არაფერს მოველი, მაგრამ იმედია, რომ ჩვენი მეცადინეობით, მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა პარტიებთან კონსულტაციები, შევძლებთ და შეგქმნით ქვეყნის უღრმესი ეკონომიკური კრიზისიდან გამომყვან აღმასრულებელ ხელისუფლებას.

რომელსაც მე წავუყენებდი მთავრობას, როგორც დეპუტატი, სახალხო ფრონტის წევრი და ბოლოს, როგორც მოქალაქე ესაა, რომ მისი პერსონალური შემადგენლობა არ უნდა იყოს დრომოჭმულობის ნიშნით დაღდასმული, ოდიოზური ფიგურებისაგან შემდგარი. ალბათ აქ სიტყვა ფიგურა უადგილოც არის. იგი არ უნდა აღიზიანებდეს მოსახლეობას, მისაღები უნდა

მინიმალური მოთხოვნა,

იყოს საქართველოში არსებული ყველა წამყვანი პოლიტიკური ძალისათვის, ხელი უნდა შეუწყოს არსებული დაპირისპირების დაძლევას. ბუნებრივია, ეჭვს არ უნდა იწვევდეს მისი წევრების პროფესიონალიზმი, ორგანიზატორული ნიჭი, პატიოსნება. მე განსაკუთრებით ყურადღებას გავამახვილებდი ამ უკანასკნელზე, რადგან დღეს საქართველოში სწორედაც რომ პატიოსნების დეფიციტი შეიგრძნობა.

ერთი სიტყვით, უნდა იქნეს გათვალისწინებული წინა მთავრობის დროს დაშვებული შეცდომები, შეიკრას თანამოაზრეთა გუნდი, რომელიც დღევანდელი ურთულესი მდგომარეობიდან გამოიყვანს ქვეყანას.

დღეს საქართველოს პარლამენტში შეიმჩნევა პოლიტიკურ ძალთა გარკვეული დაახლოება, გაჩნდა შეხების წერტილები, ერთგვაროვანი შეხედულებები ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე. ვიმედოვნებ, ეს შეაძლებინებს პარლამენტს დღევანდელი მდგომარეობისათვის შესაფერისი მთავრობის ჩამოყალიბებას.

რედაქციისაგან: ინ... ტერვიუები აღებულია გა... სულ ოთხშაბათს, 18 აგვისტოს.

საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი ბატონ ბუტროს ბუტროს გალისადმი

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო გენერალურო მდივანო!

1993 წლის 8-10 აგვისტოს ბზიფის ზონაში აფხაზმა სეპარატისტებმა შეკრიბეს ქართველი მოსახლეობის ნარჩენები, სამასამდე ადამიანის რაოდენობით, ძალით აიძულეს განცხადებების დაწერა მათი სახლებ... მფლობელობაზე ხელის აღების შესახებ და საქართველო-რუსეთის საზღვრის გადაკვეთით მდინარე ფსოუზე გადაიყვანეს ქალაქ ადლერში, რითაც ფაქტობრივად დაასრულეს მდინარე გუმისთის დასავლეთით მდებარე ტერიტორიის ეთნიკური წმენდა. ამ ოპერაციის პროცესში მათ დახვრიტეს უარაღო მშვიდობიანი მოსახლეები: ხვისტანი მარი, ხვისტანი ეკატერინე, კიკვაძე თამილა (10 წლის) პაკელიანი ფაცია, ტეშოვი ზაზა (14 წლის), მარგიანი იროდი,გუგეშაშვილი თვალია, გუგეშაშვილი გრიგოლი, გუგეშაშვილი თამარი და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს მშვიდობიანი მოსახლეობა: ხვისტანი მარგარიტა, ქოჩქიანი ჩიჩი, ქოჩქიანი ძაძუ, ქალდანი ამირანი, კიკვაძე გივი, ხარზიანი ზურაბი, ხარზიანი მურზა, ქოჩქიანი მურმანი, ქოჩქიანი თემური, ჯაფარიძე ბუდუ, რატიანი ანზორი. ადლერში გაყვანილი ქართველი მოქალაქეები ვარაუდობენ, რომ ეს უკანასკნელნიც დახვრეტილნი არიან.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძირითად ძალას, რომელიც აკონტროლებს აფხაზეთის ტერიტორიას მდინარე გუმისთიდან საქართველო-რუსეთის საზღვრამდე, არის რუსეთის რეგულარული არმია. ერთადერთი ფაქტორი, რომელიც არ აძლევს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას იმის საშუალებას, რომ დაიცვას თავისი მოქალაქეების სიცოცხლე ზემოხსენებულ ზონაში, არის ამ შეიარაღებული ძალების ყოფნა ამ ზონაში. ამგვარად, პასუხისმგებლობა იმ დანაშაულზე, რაც ამ ზონაში მოხდა ქართველი მოსახლეობის მიმართ, ძირითადად რუსეთის ფედერაციას ეკისრება.

თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ დაუ... შვებლად ვთვლით, რუსეთის შეიარა... ღებული ძალების მონაწილეობას ... სამშვიდობო ძალებში, რომელთაც გა... ეროსგან დაევალებათ კონფლიქტის რეგულირება აფხაზეთში. ვთხოვთ გა... ეროს გენერალურ ასამბლეას დ... უშიშროების საბჭოს, მხედველობაშ... მიიღონ ჩვენი აზრი და არ დაუშვა... რუსეთის შეიარაღებული ძალების მო... ნაწილეობა გაეროს სამშვიდობო ძა... ლების შემადგენლობაში აფხაზეთში.

საქართველოს პარლამენტის წევრები:

ადამია რევაზ
ადამია ჯემალ
ბარამიძე გიორგი
ბარამიძე მალხაზ
ბ... ია თენგიზ
ბაშალეიშვილი ... ვით
ბახტაძე დემურ
ბერიძე რუსუდან
ბერიძე ჯემალ
ბერძენიშვილი დავით
ბოგოხიძე აკაკი
ბზალაძე ვასილ
ბზდელიანი თენგიზ
ბორ...ძე ოთამაზ
ბ... ხილაძე გიორგი
ბ... ლავანი თენგიზ
ბ...ლაძე გურამ
გიგინეიშვილი მანა...
გ...ენავა ალექსან...
... ნ...
... ილი მალ...
... ენგიზ
... ოთარ
ზუხბაია ოთარ
თირქია ლედი
იორამაშვილი გივი
იოსელიანი არჩილ
კაკუბავა გორის
კალაძე როგინზონ
კახაძე კახაბერ
კეკელია შალვა
კვანჭილაშვილი მალხაზ
კიკაბიძე კოგა
კოგაიძე ალექსი
კოგახიძე გიორგი
კოგერიძე ნუგზარ
კოვზირიძე დავით
კორძაძე გაიოზ
კოღუაშვილი პაატა
კოხია ოთარ
კოხრეიძე ნოდარ
კუპრეიშვილი დავით
[illegible]
კურტანიძე ჯუმბერ
ლიპარტელიანი როინ
ლობჟანიძე გივი
ლომინაძე გივი
ლომსაძე გორის
მამალაძე ლევან
მამრაძე პეტრე
მამულია გურამ
მანჭულაშვილი მიხეილ
გელიაშვილი თეიმურაზ (ჯუგო)
მეგუთნიშვილი სოსო
მელაშვილი ირაკლი
მელიქიშვილი დავით
მესხი ლევან
მუსელიანი ვახტანგ
ნადარაია ამირან
ნადარაია ნუგზარ
ნადარეიშვილი თამაზ
ნათაძე ნოდარ
ნათელაშვილი შალკა
ნიკოლაიშვილი გელა
ოგბაძე თამაზ
ოთარაშვილი ვაჟა
პაატაშვილი თედო
ჟვანია ზურა
ქორჟოლიანი გია
ქორჟოლიანი თეიმურაზ (ოლქი N 1)
(ოლქი N 6)
ქორჟოლიანი თეიმურაზ
როგავა გაიოზ
საყვარელიძე რამაზ
საყვარელიძე ფრიდონ
საჯაია ჯემალ
სუმბათაშვილი თეიმურაზ
ტალახაძე ვახტანგ
ურიდია მერაბ
ფსტიაშვილი გურამ
ფაღავა ასლან
ფაჩუაშვილი ბესარიონ
ფაცაცია გერმანე
ქადაგიძე დავით
ქარცივაძე ნოდარ
ქაშაკაშვილი ამირან
ქაჯაია მერაბ
ღარიბაშვილი ქართლოს
ღოღობერიძე ლანა
ყორანაშვილი გურამ
შელია გურამ
შენგელია ზურა
ჩარკვიანი ჯანსულ
ჩარქელიანი ანზორ
ჩხეიძე თამარ
ჩხეიძე პაატა
ჩხენკელი მიხეილ
ცინცაძე თამაზ
ციციშვილი ჯიმშერ
ციხისთავი გია
ძაბირაძე ვახტანგ
ძაგნიძე შოთა
წერეთელი ირაკლი
წითლანაძე გიორგი
წოწორნავა ანზორ
წულაია გიორგი
ჭავჭავაძე ნიკოლოზ
ჭელიძე ივერი
ჭინჭარაული გიორგი
ხაინდრავა ივლიანე
ხარატიშვილი იოსებ
ხვედელიძე გივი
ხიზანიშვილი რამაზ
ხმალაძე ვახტანგ
ხომერიკი ვასილ
ხურციძე ბექან
ხუციშვილი ომარ
ჯეირანაშვილი ნიაზ
ჯიბლაძე ალექსანდრე
კალანდია გენო
ჩაკვეტაძე მურთაზი

«საქართველო»-ს ერთი პუბლიკაციის გამო

ნოდარ ნათაძე

მე მგონი, „საქართველო“-ს რედაქციას ზედმეტი „დემოკრატიულობა“ მოუვიდა, როცა გამოაქვეყნა მამია დღვილავას წერილი სათაურით „სახალხო ფრონტის მონაწილეობა სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა პრობლემათა გადაწყვეტაში“ (გაზ. საქართველო, 1993 N 25). ეს ისეთი წერილი გახლავთ, სადაც ზრდილობიანი ფრაზების ფონზე, რომლებშიც დასახელებულია სახალხო ფრონტის უმნიშვნელო დამსახურებები (რა თქმა უნდა, ყოველივე ნამდვილად მნიშვნელოვანის გამოტოვებით), წარმოდგენილია ცილისმწამებლური შენიშვნები ე.წ. ცალკეულ ნაკლოვანებათა გამო იმ ფრთხილად მინიშნებული ტენდენციით, რომ მკითხველთა თვალში სახალხო ფრონტი უნიათო და არც თუ ნამუსიან ორგანიზაციად წარმოსახოს. ავტორი რომ ის პირი არ იყო, ვისაც ჰმართებდა სახალხო ფრონტის ისტორიის წერა, ამის ამოცნობა შეიძლებოდა მის ხელმოწერაზე დართული ტიტულატურითაც, საიდანაც ჩანს რომ ეს ისტორია „საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის „გამოკვლეული ყოფილა“. საჭიროდ ვთვლი მხოლოდ რამდენიმე შენიშვნას ტექსტის გამო.

ტყუილია, რომ „სახალხო ფრონტის შეუთანხმებლად იშვიათად წყდებოდა რაიმე მნიშ-

ფრონტს არასოდეს არ მისცემია. ეს ასტრონომიული თანხა (10 მილიონი მანეთი) სახალხო ფრონტის ანგარიშის საშუალებით **მინისტრთა საბჭომ მისცა კოსტავას ფონდს**, თუმცა მისი გამოყენება იმავე მიზნისათვის სახალხო ფრონტსაც კარგად შეეძლო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჭითანავამ ნათლად გვითხრა მე და ვ. ადამიას: „ეს თანხა სახლების შესასყიდად ჩვენს მიერ სახალხო ფრონტის ანგარიშზე ჩარიცხული, თქვენია (კოსტავას ფონდის) და არა თქვენიო (სახალხო ფრონტის). „ამის შემდეგ ეს თანხა ბუნებრივია, მთლიანად გადაერიცხა კოსტავას ფონდს. ნ. ჭითანავას მოტივაცია ასეთი იყო: კოსტავას ფონდს პირდაპირ ვერ მივცემ ამ ფულს პოლიტიკური მოსაზრებებისა გამო. რამდენად ეფექტიანად გაუძღვა ამ თანხის დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეს იმ ხანად წინასაარჩევნო მზადების პროცესში მყოფი კოსტავას საზოგადოება, ეს თვით ამ საზოგადოებას უნდა ჰკითხონ.

სახალხო ფრონტის ისტორიაში ადგილი არ ეკუთვნის არც იმ ფაქტს, რომ მას ზ. ჟვანიამ „მიმართა“ ამა თუ იმ მწვანე პრობლემის გამო და არც იმას რომ ჩვენი ორგანიზაცია თითქოს „უკანონო ბინათმშენებლობით“ დაინტერესებულა (სინამდვილეში პრობლემა იყო ქვემო ქართლის წალეკვა უკანონო იმიგრაციით).

სასაცილოა სახალხო ფრონტის ისტორიაში უნივერსიტეტის ავტონომიის ლოზუნგით გამართული მიტინგის შეტანა, და ამავე დროს ვთქვათ, იმის არ შეტანა, რომ რუსული არმიის აღლუმი 1989 წლის 9 მაისს უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ვაკის პარკში მხოლოდ

სახალხო ფრონტმა აღკვეთა როგორც სიტყვიერი, ისე პრაქტიკული მოქმედებით.

დარიშხანის პრობლემას რაც შეეხება, აქ სახალხო ფრონტის მონაწილეობა მართლაც არსებითია, და არა ისეთი კოსმეტიკური, როგორადაც მას წერილის ავტორი გვისახავს. სახელდობრ, 1989 წელს ამ უკიდურესად მნიშვნელოვანი საკითხის შესასწავლად და თანმიმდევრულად გადასაწყვეტად, საქართველოს სახალხო ფრონტის ინიციატივით შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომლის შემადგენლობაში სახალხო ფრონტიდან შევიდნენ რუსუდან დუნდუა (სპეციალისტი) და ნოდარ ნათაძე (არასპეციალისტი). ამ კომისიამ შეისწავლა დარიშხანის წარმოების სფეროში არსებული მდგომარეობა და გამოავლინა ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ეკოლოგიური თვალსაზრისით საქართველოს ინტერესების საზიანო მძიმე ვითარება (იხ. გაზ. „საქართველო“, 1992 წ. 13 მარტი).

მ. დღვილავას ამ წერილის იდეური ცენტრი ძევს მის შემდეგ მონაკვეთში: „სსფ-ს წარგზავნილები ესწრებოდნენ მისაღებ გამოცდებსაც ობიექტურობის შემოწმების მიზნით. როგორც ჩანს ისინი ყოველთვის ვერ იჩენდნენ სათანადო კორექტულობას. ამას ადასტურებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მიმართვა სსფ-ს თავმჯდომარისადმი, რომელიც 1989 წლის 1 დეკემბრითაა დათარიღებული. მოსამზადებელი განყოფილება ატყობინებს ნ. ნათაძეს რომ სახალხო ფრონტის მიმართვის საფუძველზე მსმენელობის კანდიდატთა გასაუბრებაზე დაშვებულ იქნენ სსფ-ს წარმომადგენლები: ც. სვანიძე (ხელმძღვანელი), შ. წიწუაშვილი,

ო.წიწილაშვილი და რ. დუნდუა. ზოგიერთი მათგანის მოქმედებამ გამოიწვია აგრესიული გამოვლინებანი მშობლების მხრიდან. სამედიცინო ინსტიტუტის ხელმძღვანელობა სთხოვს სსფ-ს თავმჯდომარეს პირადად გაერკვეს შექმნილ სიტუაციაში და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, რადგან ასეთი მოქმედება, სამწუხაროდ, სახელს უტეხს სახალხო ფრონტს. მიმართვას ხელს აწერენ ინსტიტუტის რექტორი ა. ასათიანი და კომისიის წევრები“.

სინამდვილეში სახალხო ფრონტი პრინციპულად წინააღმდეგი გახლდათ მისაღებ გამოცდებში ყოველგვარი მონაწილეობისა (თუმცა მოთხოვნა ძლიერი იყო) და არც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ იძულებული გახდა დაეთმო პატიოსანი თვალის მაძიებელი მშობლებისა და აბიტურიენტების უზარმაზარი მასის მოწოლისათვის და სამედიცინო ინსტიტუტში თავისი მეთვალყურეები გაეგზავნა, რომელთა ინფორმაცია (რბილად რომ ვთქვათ, შთაბეჭდილებები გამოქვეყნდა კიდეც (გაზ. „საქართველო“ 1990 წ. 16 აგვისტო). ბუნებრივია (და რა თქმა უნდა სამწუხაროა), რომ ეს შთაბეჭდილებები დაემთხვა სამედიცინო ინსტიტუტის იმჟამინდელ რეპუტაციას. ბუნებრივია ასევე არაერთი მშობლის „აგრესიული გამოვლინებებიც“ და მაშინდელი რექტორის გულდაწყვეტაც მისი ინსტიტუტის კედლებიდან არასასურველი ინფორმაციის გამოჟონვის გამო. მშობლების ნაწილის „აგრესიული გამოვლინებები“ გამოწვეული იყო ინსტიტუტის ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული დეზინფორმაციით თითქოს მაღალი ნიშნების წერას სახალხო ფრონტელები უშლიდნენ, ამ დეზინფორმაციის მიზანი იყო მშობლების ერთი ნაწილის მოთხოვნით არასასურველ მიუკერძოებელ მეთვალყურეთა გაძევება. ზემოთ ხსენებულმა პუბლიკაციამ, რომელიც ამ საკითხს შეეხება, აბიტურიენტებისა და მშობლების უდიდესი ნაწილში დიდი მადლიერება გამოიწვია სახალხო ფრონტზე სამედიცინო ინსტიტუტის აბიტურიენტებისა და მათი მშობლების და რაც კიდევ უფრო საინტერესოა არც ადმინისტრაციის შემოტევა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. კერძოდ მისგან მოითხოვდნენ ინსტიტუტს გარეთ დარჩენილი აბიტურიენტების იმ პრეტენზიების გარკვევაში ჩართვას, რომლებმაც შიმშილობა და სხვა მრავალთვიანი აქციები გამოიწვია (თბილისელებს ეს აქცია კარგად ახსოვს), მაგრამ ამჯერად თემა ისეთი უხერხული იყო, რომ სახალხო ფრონტმა თავს უფლება მისცა, მისთვის ზურგი ექცია.

საქართველოს სახალხო ფრონტის ისტორია დიაღაც დასაწერი გახლავთ. იგი დასაწერია არა იმიტომ რომ მნიშვნელოვანია, (ასეთია ამ ბოლო ტრაგიკული წლების ბევრი მოვლენა) არამედ იმიტომ რომ მასში ჩანს საქართველოს იმ ნამდვილად ერთგულ და ნამდვილად თავისუფალ სახელმწიფოებრიობაზე ორიენტირებული ძალების მუშაობა, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში არასოდეს გამქრალან და რომლებსაც კომუნისტურ-იმპერიული ადმინისტრაცია (არ მინდა ვთქვა სუკი) ყოველთვის ყველაზე მეტად უტევდა, როგორც უშუალოდ „დერეჟიმორდების“ სახით, ისე სხვადასხვა ჯურის „შეურიგებლობის“ სიმულაციაზე დასპეციალებულთა სახით.

გველეშაპი წყალს არ გვაძლევს

12 აგვისტოს „პიკის საათის“ საღამოს გამოშვებაში მთელი სიუჟეტი მიეძღვნა თბილისის რომელიღაც ხევზე სასმელი წყლის მილების გატარების პრობლემაზე საუბარს — უფრო სწორად იმას, რომ ამ მეტად მნიშვნელოვანი მშენებლობის ბოლომდე მიყვანას ერთი მეტად სუბიექტური მიზეზის გამო საშველი ვერ დასდგომია. მიზეზი კი მართლაც სუბიექტურია — ინგრევა მოქალაქის საცხოვრებელი ბინა. და ამიტომ მილები ან საერთოდ არ გაიელის ამ ადგილას, რაც უწყლოდ დარჩენილი რაიონებისათვის „კარგი საჩუქარია“ ან თუ გაიელის სხვა ადგილზე, რაც უზარმაზარი თანხების დამატებით გაღებას მოითხოვს. ეს თავისთავად უკვე „შეებაა“ ჩვენი გაღატაკებული ბიუჯეტისათვის, რომელმაც ერთი კაბინეტი უკვე შეინირა.

არც ერთ ხევში თუ სხვა კუთხეში ადგილას აშენებულ ბინებს პროექტები არ გააჩნიათ — ისინი თავის დროზე ძალადობით (მავანთა ნაყრუებით) ააშენეს ძირითადად რაიონებიდან შემოსულმა ხალხმა. შემდგომში, როცა თბილისში ფეხი მოიკიდეს მათ ბინებიც მიიღეს და ბევრი სხვა სიკეთეც, თუმცა თბილისელებს ეს სიკეთე დღესაც ბევრს აკლია. უნდა აღინიშნოს, რომ მათი საკმაოდ დიდი რაოდენობა არაქართველია. ამ ბინის პატრონსაც, რომელიც ჩიქორთული ქართულით ეკამათებოდა მშენებლობის უფროსებს და კოლეგა ჟურნალისტს უკვე ჰქონია ბინა თუ ბინებიც მუხიანის დასახლებაში. აქტენტზე შევიცანი, ოსი ეროვნების კაცი აღდგომია ნინ ამ საქვეყნო საქმეს და გამკითხავი არავინ არის. გვარის ხსენებამ შავლოხაშვილი თუ ავლოხაშვილი ე.ი. შავლოხოვი ყოველგვარი ეჭვი მოხსნა.

არც ერთ ცივილიზებულ-დემოკრატიულ ქვეყანაში ადამიანების ინტერესები ერთი ადამიანისას არ ეწირება. სახლსაც, სახლებსაც და თუნდაც მთელ კვარტალებსაც დაანგრევდნენ ის ხალხები, ვისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, როგორც დასავლური ტიპის სახელმწიფო. ასე მოიქცეოდნენ აფხაზეთშიც, ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც, ასე მოიქცევიან დღესაც ჯავახეთში და აგერ აქვე ქვემო ქართლშიც. ნებისმიერი ქართველი ხმას ამოიღებს კი არა, სულ აგურ-აგურ დააშლევინებენ თუნდაც გუშინ აშენებულ ბინას. მაგრამ ეტყობა აქ, თბილისში განსაკუთრებულ ცივილიზაციას ვქმნით და განსაკუთრებულ დემოკრატიას ვაშენებთ, რახანაც ერთი შავლოხოვის ინტერესები ლამის ნახევარი ქალაქის ინტერესებზე მაღლა დაგვიყენებია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, იმ შავლოხოვის ადგილზე ვინმე- მაისურაძე, კასრაძე ან ღარიბაშვილი რომ ყოფილიყო არც მშენებლები შეინუხებდნენ თავს და არც ეს გადაცემა მომზადდებოდა. ერთს სერჟანტს გაგზავნიდნენ ობიექტზე და სულ ქეჩოში ცემით გამოაგდებდნენ ქართველს.

ნუთუ ჩვენ ის ხალხი ვართ, ვისაც ეს მინა ეკუთვნის ან უნდა ეკუთვნოდეს? ეს ისე რიტორიკული კითხვა, უფრო კონკრეტული კი იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურს მინდა დავუსვა, თუმცა ვიცი არც ამაზე პასუხის გაცემით შეინუხებს ვინმე თავს. დღეს ჟურნალისტებს „წერეთ და იკითხეთ“ პერიოდი გვიდგას. მაშ ასე კითხვა: — რამდენი კაცით აპირებენ კიდევ საქართველოში მეხუთე კოლონის შევსებას? ერთი რჩევაც, ჯანდაბას, იყვნენ შავლოხოვები შავლოხაშვილები და ნუ გაგვაყვანინებენ სასმელი ნყლის მილებს, მაგრამ ბითიევებს ნუ აბარათაშვილებენ და დუდაევებს ნუ ადადიანებენ. ხვალ რომ მართლა მონარქისტულ საქართველოში მოგვიწიოს ცხოვრებამ და დავით ალმაშენებლის შთამომავლის ნაცვლად ვინმე ბაგაევი დაჯდეს „მორჭმით“ ტახტზე სადღა გამოვყოთ თავი სირცხვილით. იყვნენ ბატონო შავლოხოვები, ბითიევები, ბაგაევები მაგრამ კაცურად იცხოვრონ, გველეშაპებივით ნუ ცხოვრობენ, თუმცა ეს მათი ბრალი არ არის.

მერაბ ცხინვალელი

ქაშუეთის წინ, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც განისვენებს მარო მაყაშვილის წმინდა ნეშთი, იქ სადაც 9 აპრილს დაღუპულთა უმანკო სულები ტრიალებენ, ფრიალებს წითელი დროშა. ეს ორჯონიკიძის მიერ მოსკოვში, კრემლში გაგზავნილი დეპეშის ტექსტი არ ეგონოს ვისმეს. მაშინ ბრჭყალებში იქნებოდა ჩასმული. ეს უბრალოდ ფაქტის კონსტატაციაა, იმ საუბედურო ფაქტისა, რომელსაც ვერავინ ვერ აბნევს, ან აბნევს და არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ქაშუეთის წინ მიწისქვეშა გადასასვლელთან მდგარ პატარა, გაურკვეველი დანიშნულების ბოძზე 17 აგვისტოს პატარა წითელი ალამი იყო აღმართული ისეთი, არც თუ იხე შორეულ წარსულში პატარა ბავშვებს რომ აჭერინებდნენ ხელში და პატარა სულებს უწამლავდნენ, მეორე დღეს 18 აგვისტოს ალამი უკვე დროშად იქცა, ზომაში გაიზარდა. ბოძზე რატომღაც მოსწავლის თეთრ-ლურჯი წითელი ნანთაც არის მიკრული (თეთრ-ლურჯ-წითელი) და რუსული წარწერა, რომელიც გვამცნობს რომ ამ კომპოზიციის შემოქმედნი დიდ პატივს სცემდნენ მშვიდობას და შრომას.

ქართველები კი დადიან და ვერავერს ვერ აბნევენ. ან არ ამჩნევენ თუ როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ ვთმობთ ყველაფერს და ვუბრუნდებით იმ საწყის მდგომარეობას, როცა ყველაფერს ერთი ფრაზით ეხსნიდით, „რა ეჭნათ, უნდა მოვითმინონთ? — უნდა მოგვეთმინა ყველასგან ყველაფერი და არავისთვის არაფერი არ უნდა გაგვებედა, ასეა ახლაც. მაგრამ არც მთლად ასეა. ერთმანეთს არაფერი არ უნდა მოვუთმინოთ. ამ ადგილას ხუთი დედაკაცი რომ მოგროვდეს და რომელიმე მათგანს ზეიადი ცოტა ხმამაღლა წამოსცდეს, ხუთასი კბილებამდე შეიარაღებული პოლიციელი მოგროვდება და იმ დედაკაცებს სულ წიბოებს დაამტვრევენ. ამ ადგილას ყოველ დღე რამოდენიმე მილიციელი „ბალახობს“, აითასობით თბილისელი შედის ტაძარში საქართველოს ღმერთისადმი შესავედრებლად და არავის უნდა იკითხოს ვინ აღმართა ჩვენ[illegible] წმინდა ადგილზე უწმინდ[illegible] ალამი და ლოზუნგი, რომ[illegible] ლამის ნახევარი მსოფ[illegible] [illegible]ათელონ ჩვენმა „ინტერ-ძმებ[illegible]

ეს [illegible]ტო ლოზუნგი არ არის, მარტო წითელი ძონძი, ეს რაღაცის [illegible]ასახია, ემბრიონი, რომელიც ძირშივე უნდა მოითხაროს და ნეტავ ვისი იქნება ის ხელი, რომელიც ამას გააკეთებს?

მერაბ მაისურაძე

წითელი ემბრიონი

საქართველო — ყოველკვირეული გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ვივა, ჯაველიძე, ვივა»!!!

თემურ ფიფია

გასული „ივერია-ექსპრესის“ ფურცლებზე ჩემსა და ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს შორის მცირე კამათი გაიმართა. როცა მეგონა, სადავო საკითხები ამოწურული იყო, ბატონმა ჯაველიძემ თავის გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში“ (N 18) გამოაქვეყნა ჩემი პიროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი, ცილისწამებით სავსე წერილი, რომელზედაც აუცილებლად ჩათვალე პასუხის გაცემა.

საპასუხო წერილი 9 ივლისს ვაახლე გაზეთის სარედაქციო კოლეგიას, საიდანაც დიდი დაგვიანებით შეიტყე სარედაქციო კოლეგიის ოქმის ამონაწერი, რომელსაც ხელს აწერდა ბატონი ბაუკა წაკლაური. სუ იტყვით, „დემოკრატიისა და კანონიერების აღდგენისათვის“ მებრძოლი გაზეთის რედაქციას მიზანშეუწონლად მიუნია ჩემი საპასუხო წერილის დბეჭდვა „მსოფლმხედველობრივი“ მოსაზრების გამო.

კანონი „პრესის შესახებ“ სრულ უფლებას მაძლევს სასამართლოს წესით ვაიძულო გაზეთის რედაქცია დაბეჭდოს საპასუხო წერილი. ასეც ვაპირებდი და მივმართე კიდეეც სასამართლოს. მაგრამ სამსახურებრივი დატვირთვის გამო პროცესისათვის ვერ მოვიცალე. ამასობაში ჯაველიძე კიდევ აგრძელებს ჩემს ლანძღვა-გინებას თავისი გაზეთის ფურცლებზე. ამჯერად ვიღაც „ეკოგრაფიულმა სიახლემ“ ივანე სალაძემ, გამოაქვეყნა ჩემი სალანძღავი წერილი (გაზ. „საქართველოს სამრეკლო“ N 28-14.08.93), რომელიც ჩაფიქრებულია როგორც ჩემი გამოუქვეყნებელი წერილის პასუხი. როგორც ჩანს, ჯაველიძეს სულ მთლად აქვს სინდისი ვარეცხილი, ამიტომ მასთან და მის ჯაზეთთან ურთიერთობის არავითარი სურვილი არ მაქვს. ამიტომ ვთხოვე გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას, რომლის რედაქტორმაც რატომღაც თავი შეიკავა გამოექვეყნებინა ჩემი წერილი, რათა მკითხველმა იცოდეს სიმართლე და ნათლად დაინახოს, ვინ ვინ არის და ჯაველიძეებისაირებისაგან რა საფრთხე ელოდება ჩვენს ქვეყანას.

თემურ ფიფია

18.08.93

ბატონ ელიზბარ ჯაველიძისაგან განსხვავებით, მე არ ვფიქრობ, მასთან ჩვენი კამათი მხოლოდ „პიროვნული მართლება და კინკლობაა“. ბატონი ჯაველიძე დღეს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმ მოძრაობის წინამძღოლია, რომელსაც თვითონვე „ზვიადიზმს“ უწოდებს და „სამშობლოს გადარჩენის მთავარ გარანტად“ თვლის (გაზ. „საქართველოს სამრეკლო“ N 18) ჩემი აზრით კი, ეს მოძრაობა პოლიტიკურად მცდარი და საქართველოს მომავლისათვის უაღრესად სახიფათოა. მართალია დარწმუნებული ვარ, თუ არ მოხდა სატანური ძალების უდიდესი ძალისხმევა, ამ მოძრაობას საქართველოში პერსპექტივა არა აქვს, მაგრამ მას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის. ამიტომაც ვთვლი საჭიროდ, მართლაც კუდის რიკამდე ჩაკვე ბატონ ჯაველიძეს, რათა საზოგადოებამ ნათლად დაინახოს ამ პიროვნების და მისგან მართული მოძრაობის ჭეშმარიტი სახე.

საკუთარ გაზეთში გაჯეჯილებული ჯაველიძის წერილი „ვაკა, ვაკა, ფიფია, შენ“ (გაზ. „საქართველოს სამრეკლო“ N 18) სათაურიდან დაწყებული, ბოლო ფრაზით დამთავრებული, სხვა არაფერია, თუ არა უაღრესად გაბოროტებული, ღვარძლით აღსავსე. ნიღაბჩამოხდილი კაცის გესლიანი სიცინინ. იგი იმდენად გამწარებულა ჩვენს მიერ ნათქვამი სიმართლისგან, რომ ეს რეგალიებით დამშვენებული მეცნიერი, წესით და რიგით ... რეგალიებს დარბაისლობა და სიბრძნე რომ უნდა ამშვენებდეს, ჭაობურად ილანძღება და ყოველნაირად ცდილობს ჩემი პიროვნული ღირსების შეურაცხყოფას. ეს საერთოდ, ჩემი ოპონენტების სტილია, მაგრამ ჯაველიძის წერილი ყოველგვარ ზღვარს სცილდება. გულწრფელად მინდა გამოვთქვა სინანული, რომ ეს ადამიანი, რომელსაც უდავოდ შეეძლო გარკვეული სარგებლობა მოეტანა თავისუფლების გზაზე შემდგარი თავისი ქვეყნისათვის, მისდაუნებურად ერის ყველაზე ბნელი ძალების „ლიდერი“ აღმოჩნდა, რამაც იგი, როგორც ეს მისი წერილიდან ჩანს, ზნეობრივი დეგრადაციის გზაზე დააყენა, საკუთარი ღირსების გრძნობა და შესაბამისად, საერთოდ ადამიანური ღირსების პატივისცემა დააკარგვინა.

ჯაველიძის ზემოაღნიშნული წერილი ოთხი ნაწილისაგან შედგება: პირველი ჩემი პიროვნული ღირსების შებღალვის მცდელობაა, მეორე, ჩემს მიმართ წაყენებული ბრალდებებია, მესამე, აშკარად ცილისწამებაა და მეოთხე, ჯაველიძის მიერ თავისი მოქმედების გამართლებაა.

მე, რასაკვირველია, არ ავჯავები პოლემიკის ჯაველიძისეულ (საერთოდ, „ზვიადისტურ“) სტილს და დედაკაცივით წყველაკრულვას არ დაეუწყებ.

შევეცდები წყნარად, არგუმენტებით გავცე პასუხი ჩემთვის წაყენებულ ბრალდებებს და ცილისწამებას, ვამხილო მათი ფარული მიზანი, რათა ამით წარმოჩინდეს ჯაველიძის ნამდვილი სახე.

წინასწარ დიდი ბოდიში მინდა მოეუხადო მკითხველს, რადგან პასუხის გასაცემად იძულებული ვიქნები მოვიხმო ციტატები ჩემი ადრინდელი პუბლიცისტური წერილებიდან. ვიცი, ჯაველიძე ამას კვლავ თვითგანდიდებასა და არათავმდაბლობაში ჩამომართმევს, მაგრამ წარსულიდან დაბეჭდილი სიტყვის მოხმობა, თუნდაც იგი შენი, საკუთარი წერილიდან იყოს, მაინც ობიექტური არგუმენტია, რადგან იგი ისტორიაა და ამდენად დღევანდელობიდან არაა განსაზღვრული.

I. პირველი ბრალდება, რომელსაც ბატონი ჯაველიძე მიყენებს, ისაა, რომ მე თურმე დღეს ვქადაგებ ეროვნულ ერთიანობას, მაშინ როცა უკვე დამიტეგია ქვეყანა, დამინგრევია ეროვნული სახელმწიფო, გამიტეგია უჭკვიანესი პრეზიდენტი და ახლა, რადგან ახალი სახელმწიფოს აშენებას ვეღარ ვახერხებ, ვცდილობ ჩემი ცოდვები მათ გადავაბრალო.

მინდა მოვახსენო (თან გავახსენო, რადგან თუკი პირველ წერილში ჯაველიძე „ვინმე თ. ფიფიას“ მიწოდებდა, ბოლო წერილში აღმოჩნდა, რომ ძალზე კარგად სცოდნია ჩემი პოლიტიკური ბიოგრაფია) ბატონ ოპონენტს, რომ ეროვნულ ერთიანობაზე დღეს პირველად არ ამომიღია ხმა. ეროვნული ერთიანობის დარღვევის საშიშროებასა და იმ საფრთხეზე, რასაც ეს პროცესი მოუტანდა საქართველოს, გამსახურდიას ზეობის დროს რამდენიმე წერილი გამოვაქვეყნე გაზეთ „საქართველოში“ და „დრონში“, მათ შორის წერილი „ეროვნული ერთიანობის იდეა“ (გაზ. „დრონი“ 27. 09.91). მე არ ვაპირებ ამ წერილები შინაარსის გადმოცემას, მხოლოდ ვიტყვი, რომ იმ უამრავ შეცდომასა და დანაშაულს შორის, რომელიც გამსახურდიას ხელისუფლებამ ჩაიდინა, უმთავრესი ეროვნული ერთიანობის დარღვევაა. მოვიყვან მხოლოდ ერთ ნაწყვეტს ჩვენი წერილიდან „დაინიშნება თუ არა საქართველოში უზენაესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნები?“ (გაზ. „დრონი“ 5.07.91), საიდანაც ისიც კარგად ჩანს, რომ ჩვენთვის თვითმიზანი არ ყოფილა გამსახურდიას ხელისუფლებასთან დაპირისპირება და მას მხოლოდ მის მცდარ მოქმედებაზე ვუთითებდით: „პრეზიდენტის არნევნებმა უდავოდ დადასტურა, რომ დღეს ერი მძიმე მდგომარეობაშია და ამ დროს მას ეგულება ერთი პიროვნება, რომელსაც ენდობა, სწამს, რომ იგი ერს ამ ძნელბედობიდან გამოიყვანს. ასეთი ერთსულოვნება და დარაზმულობა დიახაც ბევრს შეაძლებინებს ერს, მაგრამ ამავე დროს, განუზომლად იზრდება ერის წინამძღოლის პასუხისმგებლობა. ასე აღიარებული პიროვნება უკვე თავის თავს აღარ ეკუთვნის და მზად უნდა იყოს ერის სამსხვერპლოზე მიიტანოს ყოველივე პირადი. პრეზიდენტის ფუნქციები და პასუხისმგებლობა გაცილებით დიდია, ვიდრე არჩევნებში გამარჯვებული ბლოკის ლიდერისა. პრეზიდენტი ვალდებულია გაითვალისწინოს ყველა მოქალაქის ნება-სურვილი და ყველას თავ-თავისი ადგილი მიუჩინოს... მხოლოდ არაკომპეტენტურობა ბადებს დიქტატურას, ძლიერი ხელის პოლიტიკას, ხალხში მტრების ძიების სურვილს. ერი ერთია და მის რომელიმე ნაწილს არსებობის უფლება არ უნდა შეეზღუდოთ. სხვაგვარად ვერ დავდგებით იმ ეროვნული ერთიანობის პოზიციაზე, რომელზედაც ასე გულმხურვალედ ოცნებობდა დიდი ილია. პრეზიდენტს ხელეწიფება სრული ეროვნული ერთიანობის საფუძვლის შემზადება, მაგრამ საამისოდ მას ცალკეულ პოლიტიკურ ძალებზე მაღლა დადგომა უნდა შეეძლოს... ეს მის მოქმედებას ობიექტურობას შეხძენს და იგი ჭეშმარიტად თავისი ყველა მოქალაქის პრეზიდენტი გახდება... მხოლოდ ამით მიიღწევა ის ეროვნული ერთიანობა, რომლის წყურვილიც ერში ასე ძლიერია“. საშუხაროდ, ჩვენს ამ კეთილგანწყობით მიცემულ რჩევას პასუხად მხოლოდ ერთი ჩიტირეკია რედაქტორის ბინძური წერილი მოჰყვა, ხოლო თავად პრეზიდენტმა მეტი წარმატებით გააგრძელა ერის გათიშვისა და ხალხის ურთიერთწაკიდების პოლიტიკა.

II. ჯაველიძე ბრალს მდებს, რომ ფიფიამ და კომპანიამ „უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დავალებით და ამავე ქვეყნების სამხედრო ძალის დახმარებით დაამხეს ეროვნული ხელისუფლება, დახოცეს უამრავი ქართველი და ბოლო მოუღეს ქართულ სახელმწიფოებრიობას“.

მე არ უარვყოფ, რომ ვიყავი ერთი იმათგანი, ვინც ნათლად ხედავდა, თუ როგორ მიჰყავდა გამსახურდიას რეჟიმს საქართველო უფსკრულისაკენ და ჩემი კალმით და მოქმედებით ყოველნაირად ვცდილობდი, თავიდან აგვეცილებინა ტრაგედია. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა და ამაში უმთავრესი დამნაშავე ხელისუფლება იყო, ამიტომ თავისი საშინელი ბრალდების ადრესატი ჯაველიძემ გროსნოში მოიკითხოს. მაგრამ მე მაინც მინდა ერთი განმარტება გავაკეთო: გამსახურდიას უგუნური ხელისუფლების დამხობა ერთგვაროვანი პროცესი არ ყოფილა და მის მონაწილეებს ერთი და იგივე მიზანი არ ამოძრავებდათ. ჩემი პოზიცია საკმაოდ ნათლად უამოვხატე ჯერ კიდევ ოქტომბერში, სექტემბრის მასობრივი გამოსვლების დამარცხების შემდეგ, წერილში „სექტემბრის კრიზისი, ანუ რევოლუცია და პიროვნებათა ტრაგედიები“ (გაზ. „საქართველო“ 14.10.91). ეს გამოსვლები (ბუაბარია 1991 წლის სექტემბრის გამოსვლებზე) ეროვნულ მიზანს ისახავდა იმდენად, რამდენადაც მიმართული იყო იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც თავისი ერთწლიანი უგუნური მმართველობით, XX საუკუნის მიწურულს ავტორიტარული რეჟიმის დამყარებით მთელ მსოფლიოში გაუტეხა სახელი ქართველ ერს, ეჭვ ქვეშ დააყენა მისი კაცთმოყვარე და ჰუმანისტური ბუნება... ხელისუფლება დღევანდელ შეცვლილ ისტორიულ პირობებში გადაიქცა ერთადერთ დაბრკოლებად, რომელიც ხელს უშლის საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას... ამიტომ ეროვნული ოპოზიციური პარტიების მხრიდან ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ნაწილი აღმოჩნდა.

სავსებით უეჭველია, რომ გამოსვლებს ჰქონდა დემოკრატიული წყობის დამყარების მიზანი, ეროვნული ერთიანობისა და მშვიდობის დამყარება, პიროვნების ღირსების ხელშეუხებლობა, კანონის უზენაესობა, სასახლის კამარილის თვითნებობის აღაგმვა, ელემენტარული დემოკრატიული პრინციპების აღიარება, სიტყვის, პრესისა და მასობრივი ინფორმაციების საშუალებათა თავისუფლება, კერძო საკუთრების დამკვიდრება — აი, ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც აყენებენ ერთი თვის მანძილზე ქუჩაში მდგომი ერის საუკეთესო შვილები, ხოლო მათ აშინებდნენ, სცემდნენ, ტყვიას ესროდნენ ერთის მხრივ ზნედაცემული და ამასთან მათ მიერ გაბრიყვებული ხალხის ნაწილი...

ოპოზიციას არ უღალატია ეროვნული მოძრაობის მიერ აღიარებული მშვიდობიანი ბრძოლის ფორმებისათვის მაშინაც კი, როდესაც სრულიად დაუცველი აღმოჩნდა ხელისუფლების მიერ წაქეზებული, გონებადაბნელებული, ეგზალტირებული და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ბრბოს წინაშე. უკვე შემდეგ იარაღით მის დასაცავად დადგნენ ისევ „მრგვალი მაგიდის“, ანუ ოფიციალური ხელისუფლების ყოფილი წევრები, რომლებმაც არ ისურვეს მონაწილეობა ერის ერთი ნაწილის გენოციდში“.

სექტემბერ-ოქტომბერში დამარცხების მიუხედავად, ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტი ნაწილი, რომელმაც თავისუფლებისათვის ბრძოლა ხელისუფლებაზე არ გაცვალა, დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით და რაც მთავარია, წარმოებული პოპულისტური ეკონომიკური, სოციალური და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის შედეგად გამსახურდიას ხელისუფლება მარტის ქარებს გადაჭყვეტოდა და სერიოზულად ემზადებოდა საგაზაფხულო მშვიდობიანი აქციებისათვის.

მაგრამ ცხადი იყო ისიც, რომ ამით ახალი პოლიტიკური ძალები მთლიანად აიღებდნენ ხელში ქვეყნის მართვის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბერკეტებს. ვფიქრობ, ეს იყო ერთ-ერთი, შეიძლება უმთავრესი მიზეზი, რის გამოც მოხდა შეიარაღებული აჯანყების გზით გამსახურდიას რეჟიმის დამხობა. სხვათა შორის, ამ აჯანყების ორგანიზატორები „მრგვალი მაგიდის“ ყოფილი წევრები იყვნენ, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის გამსახურდიას პასუხისმგებლობას მომხდარ ტრაგედიაში.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ (და ეს არაერთგზის განმეცხადებია), რომ არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია იარაღის ძალით გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში (თუმცა ის ამას იმსახურებდა), ვინაიდან ეს ჩემი პოლიტიკური მრწამსისათვის პრინციპულად მიუღებელი და რაც მთავარია, ჩემი ღრმა რწმენით, არასწორი გზა იყო, რადგან სწორედ იარაღის ძალით გამსახურდიას განდევნა გახდა იმის მიზეზი, რომ ეს უნიათო და პოლიტიკურად ბეცი, თავისი გარემოცვის მიერ დამონებული, ქვეყნის დამაქცევარი კაცი ერთგვარ წამებულ რაინდად გადაიქცა და ხალხს მისი ჭეშმარიტი სახის და მოქმედების შედეგების დანახვა არ დასცალდა.

3-4. მესამე და მეოთხე ბრალდებით ბატონი ჯაველიძე ცდილობს ჩემი კუთხის მოსახლეობა დამიპირისპიროს იმით, რომ თითქოს მე:

ა) სამეგრელოს მოსახლეობას სეპარატიზმში ვდებდე ბრალს და

ბ) მე, ამ კუთხის შვილმა, რატომ თუნდაც ერთხელ არ ამოვიღე ხმა, როცა ამ მხარის მცხოვრებთ აწამებდნენ, ძარცვავდნენ და სულში აფურთხებდნენ. ვნახოთ, რამდენად სამართლიანია ეს ბრალდებები:

ა) ცნობილია, რომ საქართველო ეთნიკურად განსხვავებული კუთხეთა ერთიანობაა, მაგრამ ამ ერთიანობაში სამეგრელო, სვანეთთან ერთად, ცოტა განსხვავებულ მდგომარეობაშია. საქმე ისაა, რომ დღევანდელი მეგრული და სვანური სალაპარაკო ენა საკმაოდაა დაშორებული მთავარ სალიტერატურო ენას, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის. ცნობილია, რომ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს, სხვა ნიშნებთან ერთად, სახელმწიფო და კულტურის ერთიანობა ჰკრავს. ის, რითაც მეგრელი უპირატესად აკუთვნებს თავს ქართველ ერს, ისაა, რომ იგი ნაზიარებია და თვითონაც მონაწილეა იმ სამყაროსი, რასაც ქართული კულტურა ჰქვია.

ამდენად, სამეგრელოში ეროვნული ერთიანობისა და ქართული ცნობიერების შენარჩუნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიან სახელმწიფოს, განათლებას, საერთო ქართულ კულტურასთან ზიარებას, თორემ უბირი ადამიანისათვის ძალზე ძნელია იმის მტკიცება, რომ ფილოლოგიური მეცნიერების მიხედვით მეგრული და თანამედროვე ლიტერატურული ქართული ერთი ძირის ენაა და დღეს არსებული განსხვავება მხოლოდ ენის ლინგვისტური განვითარების შედეგია.

სამწუხაროდ, იმ ადამიანებში, ვინც დღეს სამეგრელოში თავს ზვიადის მომხრეებად თვლიან, ძალზე ბევრია ისეეე, როგორც სხვაგან) დაბალი განათლების ადამიანები (თუ რატომ, ამაზე ცოტა ქვემოთ გეკენება საუბარი), ამიტომ იქ ნელ-ნელა რიყავენ ეროვნული ერთიანობისათვის მებრძოლ ადამიანებს (მაგ. ვალტერ შურლაიას) და მათ ადგილს ნაძირალა, ხელმოცარული კარიერისტები იკავებენ, ხოლო ნაძირალების უკანასკნელი თავშესაფარი სწორედ სეპარატიზმი და განცალკევებულობის ქადაგებაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ანტიზვიადისტური განწყობა საქართველოს სხვა კუთხეებში, აქაც ძირითადად დაბალ ფენებში, ანტიმეგრულ განწყობად ვლინდება, რასაც ჩვენ, ამ კუთხიდან ამოსულები, ძალზე მტკივნეულად განვიცდით. ამიტომ აქ ყალბი რიტორიკა და რეალობისათვის თვალის მოხუჭვა ნამდვილად არ არის საჭირო და ჯაველიძე ნუ იქნება რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკე. საერთოდ, აქ ჯაველიძის ფარისევლობა თავის ზენიტს აღწევს, რადგან მას არაერთხელ გამოუჩენია ამ კუთხის შვილებისადმი სიძულვილი და მათი გვარების დაბოლოებაც საჯაროდ, არაერთხელ გაუხდია საქილიკოდ.

ბ) ახლა იმ ბრალდების შესახებ, მეკატოვე თუ არა ჩემი

კუთხე მისთვის ძნელბედობის ჟამს. ძალიან ვწუხვარ, რომ ჯაველიძე მაიძულებს მკითხველს შევახსენო ამ მხრივ ჩემი მოქმედება.

საზოგადოებას ალბათ ახსოვს, რომ სამეგრელოში პირველი სამარცხვინო „ლაშქრობის“ შემდეგ, ერთ-ერთი ბატალიონის მიერ ზუგდიდში და სხვაგანაც ჩადენილი უმსგავსოების შედეგად მთელი ძალით იფეთქა მოსახლეობის უკმაყოფილებამ, უბრალო მოქალაქემაც იარაღს მოჰკიდა ხელი, ხოლო ხელისუფლების გაცხელებულმა თავებმა ქალაქს „მხედრიონის“ და გვარდიის ნაწილები მიაყენეს, დიდი რისკის ფასად ზუგდიდში ჩავედით ბატონები: ნოდარ ნათაძე, ირაკლი ბათიაშვილი და მე, სადაც მოვახერხეთ სისხლისმღვრელი შეტაკების თავიდან აცილება, შემდეგ კი ჩვენი რამდენჯერმე ჩახვლის და მოლაპარაკების შედეგად გარკვეული კომპრომისები იქნა მიღწეული, რითაც ზუგდიდი ნამდვილ აოხრებას გადაურჩა.

საზოგადოებას ისიც ახსოვს, რომ როცა სახელმწიფო საბჭოზე გადაწყდა „მხედრიონის“ შეყვანა სამეგრელოში, მე ვიყავი იმ მცირეთაგანი, ვინც კატეგორიულად წინ აღუდგა ამ გადაწყვეტილებას, ხოლო შემდეგ, როცა წალენჯიხაში ტრაგედია დატრიალდა, სახელმწიფო საბჭოზე ჩემს მიერ გაკეთებული განცხადებით „მხედრიონის“ შესვლა შეფასდა, როგორც დამსჯელი ოპერაცია და კატეგორიული მოთხოვნით მივაღწიეთ მის იქიდან გამოყვანას. იძულებული ვარ მოვიყვანო ამ განცხადების ტექსტი, რომელიც შემდეგ გამოქვეყნდა პრესაში, აი, ისიც: „... სახელმწიფო საბჭოს 18 ივნისის სხდომაზე, როცა მიღებული იქნა „მხედრიონის“ რეგიონში შეყვანის დადგენილება, მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი ასეთი გადაწყვეტილების მიღებისა, რადგან ვიცოდი რეგიონის მოსახლეობის დამოკიდებულება „მხედრიონისა“ და მისი ხელმძღვანელის ძიძაოთ. სამწუხაროდ, ჩვენი აზრი გათვალისწინებული არ იქნა. „მხედრიონის“ სამეგრელოს რეგიონში შესვლის პირველ დღეებში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კმაყოფილებით შეხვდა მათ, რადგან ბანდიტებისა და ყაჩაღებისაგან უკიდურესად იყვნენ შეჭირვებულნი. მაგრამ მას შემდეგ, რაც წალენჯიხაში მოხდა შეტაკება, „მხედრიონმა“ დაიწყო დამსჯელი ოპერაციების განხორციელება მოსახლეობის მიმართ, რეგიონში მიმდინარეობს მოსახლეობის განკულაკება, ძარცვა, დამცირება, პიროვნული და კუთხური გრძნობის შეურაცხყოფა, და ამას ოპერაციის ხელმძღვანელი ჩვეულებრივ მოვლენად თვლის.

თუ დაუყოვნებლივ არ მოხდება „მხედრიონის“ სახვრაფოდ უკან გამოწვევა და ნაძარცვის უპირობოდ დაბრუნება, რა გზას დაადგება სამეგრელოს შეურაცხყოფილი მოსახლეობა, ძნელი წარმოსადგენი არ არის. ის, ვინც მშვიდობიან მოსახლეობას აიძულებს იარაღს მოკიდოს ხელი, ქართველი ერის მტრის წიხქვილზე ასხამს წყალს.

როგორც სახელმწიფოს საბჭოს წევრი, მოვითხოვ ჩვენს მიერ მიღებული მცდარი გადაწყვეტილების შეცვლას, დამსჯელი რაზმის და მისი ხელმძღვანელის დაუყოვნებლივ უკან გამოწვევას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი შემდგომი ყოფნა სახელმწიფო საბჭოში შეუძლებელი იქნება, რადგან არ მსურს ვიყო დანაშაულებრივი პოლიტიკის თანამონაწილე“. (გაზ. „საქართველო“ 23.06.92).

ვფიქრობ, უფრო მეტის გაკეთება ერთი კაცისაგან ალბათ შეუძლებელი იყო. ვერ დავიჯერებ, რომ ამის შესახებ არ სცოდნოდა ჯაველიძეს, მაგრამ მას თავისი წერილი მანქურთებზე აქვს გათვლილი, რომელთაც ვერც ვერაფერს გააგებინებ და ვერც ვერაფერში დაარწმუნებ. საბედნიეროდ, ყველაფერი ეს იცის სამეგრელოს გონიერმა ნაწილმა და ამაოდ ცდილობს ჯაველიძე იქ ჩემთვის სახელის გატეხას, რათა შემდეგ დაუბრკოლებლად უმღვრიოს ხალხს გონება.

ჩვენი ხელისუფლების მიერ სამეგრელოში დაშვებული უდიდესი შეცდომების შესახებ მხოლოდ ვიწრო წრეში არ მისაუბრია. ამის შესახებ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვწერდი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (19.05.92 წ.).

მე არ უარვყოფ, რომ ჩვენს დღევანდელ სახელმწიფოში ბევრი უმსგავსობა ხდება, რომ იგივე სახელმწიფოს სტრუქტურებში არიან ძალები, რომელთა ზნეობრივი მრწამსი და მოქმედება ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია (სწორედ მათ კუწოდებდი ოფიციალურ სტრუქტურებში შესულ ყაჩაღებს, რაც ჯაველიძემ ვერ გაიგო და აქეთ ბრალდებად წამომიყენა), მაგრამ ეს, მოგვწონს თუ არა ჩვენ, რეალობაა და მას ანგარიში უნდა გაუწიო (ყაჩაღების ნაკლებობა არც გამსახურდიას ხელისუფლების დროს იგრძნობოდა, მაგრამ ამას იმ ხელისუფლების წარმომადგენელი ჯაველიძე მშვიდად და გატრუნული უმზერდა)...

შეიძლება ამ ძალებს პირდაპირ ომი გამოუცხადო და სამოქალაქო ომიც დაიწყება, რაც დიდი ხნით დაასამარებს ჩვენს სახელმწიფოებრიობას, და შეიძლება ნელ-ნელა, ევოლუციური გზით მოახერხო ყველასათვის თავისი კუთვნილი ადგილის მიჩენა. ვთვლი, რომ მეორე გზა ქვეყნისათვის, მისი მომავლისათვის უკეთესია. რასაკვირველია, ვაჟკაცობა იყო თორნიკე ფიფიას საქციელი, მაგრამ მე მგონია, რომ ჩემი იქ ყოფნით, სადაც ვარ, სარეველების მარგვლა და ბოროტების წინააღდგომა უფრო უკეთ შეიძლება, ვიდრე განზე გადგომით. რაც შეეხება სავარძელს და ტითილდღეობას, რომელსაც თურმე ვერ ვშორდები, როგორც ჩანს, ჯაველიძეს ახლაც თავისი ყოფილი მეგობრების დრო ჭირნია.

5. შემდეგი ბრალდება, რომელსაც ჯაველიძე მიყენებს, ისაა, თითქოს მე შეეურაცხყოფდე უბრალო ქართველ ადამიანს და მას აუგად მოვახსენიებდე.

ვერ დავმალავ, რომ „ზვიადიზმის“ მიმდევრებს დიდი სიმპათიით არ ვუყურებ, მაგრამ არა მგონია, რომ უბრალო ქართველი ადამიანი და „ზვიადისტი“ ერთი და იგივე იყოს. ნამდვილ მშრომელ ადამიანებს, რომლებმაც იციან თავისი საქმე, არაფერი საერთო არ შეიძლება ჰქონდეთ ნებისმიერ პოლიტიკურ „იზმთან“. ქართულ პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში „ზვიადიზმი“ შეფასდა, როგორც პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში ძალაუფლების ხელში ჩაგდება ნაციონალისტური პოპულიზმის გზით, როგორც პოლიტიკური უმეცრებით გამოწვეული უდღეური ავტორიტარული რეჟიმი. „ზვიადიზმი“ მრავალწახნაგოვანი მოვლენაა და აქ მასზე ვრცელი მსჯელობის საშუალება არაა, მაგრამ გამოვყოფდი უმთავრესს, რაზეც ადრეც არაერთხელ მისაუბრია: ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის დროშით ხელისუფლებაში მოსული ადამიანები სინამდვილეში სოციალური რევოლუციის განმახორციელებლები, ხოლო ამ სოციალური რევოლუციის მამოძრავებელი ძალები საზოგადოების ყველაზე ბენელი ძალები აღმოჩნდნენ. თუ ბატონ ჯაველიძეს ამ თეზისის თეორიული დასაბუთება აინტერესებს, მიკუთითებ გაზეთ „საქართველოს“ (24.10.91). ჩემთვის სავსებით უეჭველია, რომ ამ ძალებს უკმაყოფილო ადამიანები შეადგენენ და მათი უკმაყოფილების საფუძველი ადამიანებს შორის რეალურად არსებული დიფერენციაციაა, რაც ადამიანების გონებრივი და ფიზიკური მონაცემების განსხვავებით არის გამოწვეული. რევოლუციების დროს ასეთი ადამიანები დროს იხელთებენ და შურს იძიებენ მათზე აღმატებულებზე. ამაშია „რევოლუციური შურისძიების“ აზრი. ამით იყო გამოწვეული „ზვიადის პერიოდში“ გაჟღერებული ბრძოლა ჩვენი ერის ელიტური ნაწილის წინააღმდეგ. ისტორიული პარალელების მეთოდით, „ზვიადისტები“ ზუსტ ანალოგს პოულობენ საქართველოში ოციანი წლების ბოლშევიზმთან, როცა ამ ბნელმა ძალამ გარეშე ძალების დახმარებით წაართვა ერს თავისუფლება, ამოწყვიტა ან ქვეყნიდან გააძევა მისი საუკეთესო ნაწილი. დღესაც საქართველოში ერთადერთი შანსი არსებობს „ზვიადისტების“ გამარჯვების — რუსეთის რეაქციული ძალების დახმარებით. თუ რას მოუტანს ეს ჩვენს ქვეყანას, ან რას ჩაიდენენ „საშოთხის დაკარგვით“ გაბოროტებული მდაბიონი — პირველ ეზიარად ამაღლებული, გაუნათლებელი ბუთალი, მთავარ იდეოლოგად შერაცხული, არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი მანიაკი, კარის ცერემონმაისტერი მეჯოლე, კარვის ნაციხარი როსკიპი დედაკაცები, ამის წარმოდგენა ძალზე ადვილია და ამასთან შემზარავი.

მჯერა, რომ ღმერთი მეორეჯერ ასე უღვთოდ არ გასწირავს საქართველოს, როგორც ეს 1921 წელს მოხდა.

როგორიც არ უნდა ყოფილიყო გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდგომი პერიოდი, როგორი სამწუხარო შეცდომებიც არ უნდა დაეშვა ახალ ხელისუფლებას — საქართველო მტკიცნეულად , მაგრამ მაინც დაადგა მისი ისტორიის აუცილებელ და ბუნებრივ გზას — დემოკრატიული, თავისუფალი განვითარების გზას. ერთი წლის განმავლობაში დემოკრატიულმა, პოლიტიკურმა აზროვნებამ უდიდესი ნაბიჯები გადადგა წინ — დაიწყო მრავალპარტიული პოლიტიკური ცხოვრების ჩამოყალიბება, სწრაფად ვითარდება მეოთხე ხელისუფლება — დაშოუკიდებელი, დემოკრატიული პრესა და ტელევიზია. „საქართველო“, „დრონი“, „ივექსი“, „შვიდი დღე“, „მიმომხილველი“, „რეზონანსი“, „იბერვიზია“ — დემოკრატიის ის ბერკეტებია, რომლებიც თვით „ზვიადიზმს“, მართალია, როგორც მცდარს და მიუღებელს, მაგრამ მაინც როგორც განსხვავებულ აზრს, არსებობის საშუალებას აძლევენ. როგორც ცოტა ქვემოთ ბატონი ჯაველიძე იტყვის: „ამის არშემჩნევა, თუ თვალი განზრახ არ გაქვს დაბინდული, შეუძლებელია“.

6. მართლაც ჯაველიძის სინდისზე იყოს იმის ვერ გახსენება, რომ თვით ზვიად გამსახურდიას ორგზისი თხოვნის მიუხედავად, არ დამბეჭდა წერილი „მართლაც სად არის ქართული მწერლობა“, მაგრამ საბედნიეროდ, გაზეთ „საქართველოში“ (11.02.90) დაბეჭდილ ამ წერილს თან ახლავს მინაწერი, სადაც შავით თეთრზე წერია, თუ როგორ ამაოდ იდო იგი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში, მაგრამ მაშინ ბატონი ელიზბარი სხვა ვარსკვლავებს სდევდა და სხვა პატრონს ემსახურებოდა. მაგრამ ჩემთვის ეს ახლა ეს მთავარი არაა. მე უფრო ის მაინტერესებს, ეგებ გავაგებინო ჯაველიძეს, თუ რატომ მოხდა გამსახურდიასადმი ჩვენი დამოკიდებულების შეცვლა.

აქ მოგვიწევს იმ თეზისის გამეორება რომლის თანახმადაც ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ხელისუფლებისათვის ბრძოლა. ჩვენ ვთვლით, რომ ოკუპაციის პირობებში (ანუ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში) ეროვნული მოძრაობის ხელისუფლებისათვის ბრძოლამდე დაყვანა პოლიტიკურად მცდარი და საზიანო იყო. თავის დროზე გამსახურდია ამას ყველაზე აქტიურად ქადაგებდა და მორალური არგუმენტით ამაგრებდა, ამბობდა რა, რომ „ოკუპაციის პირობებში ხელისუფლებაში გასვლა უზნეობაა“. ჩვენთვის უმთავრესი ის პოლიტიკური არგუმენტი იყო, რომ ეროვნული მოძრაობის ხელისუფლებაში გასვლა არა მხოლოდ იმპერიის წინაშე პასუხისმგებლობას, არამედ საკუთარი ხალხის სოციალური პრობლემების წინაშე პასუხისმგებლობასაც ნიშნავდა, რომ იმპერიას შეეძლო უდიდესი სოციალური სიძნელეები შეექმნა ხელისუფლების სათავეში მყოფი ეროვნული მოძრაობისთვის, რაც საბოლოოდ ეროვნული მოძრაობის ავტორიტეტის დაცემას გამოიწვევდა (რაც დღეს ფაქტობრივად მოხდა საქართველოში) ამიტომ ჩვენ გამსახურდიას გვერდით ვიყავით ფორუმის გახლეჩამდე, ხოლო ფორუმი გახლიჩა გამსახურდიას და მისი მომხრეების ხელისუფლებისაკენ ლტოლვამ. ეს იყო მეორე უდიდესი ღალატი, რომელიც გამსახურდიამ ეროვნული მოძრაობის მიმართ ჩაიდინა და ამის შემდეგ პოლიტიკური და ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, მის გვერდით ყოფნა აღარ შეიძლებოდა. დრომ დაადასტურა, რომ ჩვენ მართლები ვიყავით და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტმა ნაწილმა, რომელიც „ფოჩიან კამეტებზე“ არ გაიყიდა, შეძლო გამსახურდიას მიერ ლახვარჩაცემული ეროვნული მოძრაობის გადარჩენა. ამაზე აღარ გავაგრძელებთ საუბარს, მხოლოდ მკითხველს ვთხოვ დაფიქრდეს, რადგან ჯაველიძე ზნეობაზე მედავება, რომელი პოზიციაა უფრო ზნეობრივი: ჩვენ გამსახურდიას დავცილდით მაშინ, როცა იგი სრული სვლით, დაუბრკოლებლად მიემართებოდა ხელისუფლებისაკენ და უდიდესი შესაძლებლობა გვქონდა, მის გვერდით ერთ-ერთი უმთავრესი პოსტი დაგვეკავებინა, მაგრამ ეს ერის ინტერესებიდან და ჩვენი პოლიტიკური პრინციპების გამო არ გავაკეთეთ, თუ ჯაველიძის და მის მსგავსთა მოქმედება, რომლებიც უკვე ხელისუფლებაში მყოფ გამსახურდიას მიეტმასნენ. არადა ადრე მისი მოწინააღმდეგენი იყვნენ...

ახლა იმ აშკარა ცილისწამების შესახებ, რასაც სავსებით გამიზნულად აკეთებს ჯაველიძე. იგი წერს, რომ თითქოს მე ვყოფილიყავი „ფილოსოფიის ფაკულტეტის კომკავშირის ხელფასიანი მდივანი“ (ხაზგასმა მისია. თ. ფიფია).

ყველამ, ვისაც საქმე ჰქონია უნივერსიტეტთან, ძალიან კარგად იცის, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტი ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი ფაკულტეტია და არასოდეს ჰყოლია „კომკავშირის ხელფასიანი მდივანი“. ეს ჯაველიძემაც ძალიან კარგად იცის, მაგრამ რა ქნას, უნდა ცილი დამწამოს, რადგან ჩემი კომპრომეტირებისათვის ჩემს ბიოგრაფიაში ვერაფერს იპოვის, ისე, თუკი ჩემი ცხოვრების სტუდენტური წლები აინტერესებს ჯაველიძეს, ვეტყვი, რომ ვიყავი ფაკულტეტის საქვეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეც, ნუცუბიძის სახელობის სტიპენდიანტიც, ხოლო „ინტერნაციონალური მოღვაწეობის“ ნაცვლად, რამდენიმე საფუძული სამხრეთაქართველოში, ტერასების აღდგენასა და შორეთისა და კუბურღის ეკლესიების რესტავრაციაზე მაქვს გატარებული. სტუდენტობის შემდგომ კი შვიდი წელი, აქედან ოთხი წელი, სამეცნიერო ხარისხის მქონე, უნივერსიტეტში უბრალო ლაბორანტად ვმუშაობდი, და რომ მდომებოდა საკმაოდ მაღალი რანგის ფუნქციონერად შემეძლო გახდომა და ჯაველიძე ისევე მომელაქუცებოდა, როგორც ელაქუცებოდა იმდროინდელ ფუნქციონერებს.

ახლა კი უმთავრესი: ჯაველიძე ბრალს მდებს, თითქოს მე ცილსა ვწამებ და მას „პერესტროიკისათვის“ ხოტბა არასოდეს შეუსხამს. მეტი დამჯერებლობისათვის მოვიყვან მის სიტყვებს: „ერისა და ღვთის წინაშე ვაცხადებ, რომ ჩემს ცხოვრებაში არცერთი სახოტბო სიტყვა „პერესტროიკის“ შემოქმედებისადმი“ [illegible] წერია. თუკი ჩემი ოპონენტი თუნდაც ერთ ასეთ სიტყვას მოძებნის ჩემს ნააზრევში, მზად ვარ საქართველოდან გადავიხვეწო; თუ არა და ეს უზნეობაც მის სინდისზე იყოს“. მართლაც ეს უზნეობა მტკეანის სინდისზე იყოს და მკითხველმა განსაჯოს, „თაფლის“ ქება „ფუტკრის“ სიყვარულს გულისხმობს თუ არა, ხოლო „თაფლს როგორ აქებს ჯაველიძე, ამას ახლავე მოვახსენებთ მკითხველს. იმ დროს, როცა ჩვენ ეროვნული მოძრაობის ბარიკადებზე ვიდექით, ჯაველიძე ისეთი „მარგალიტების“ კორექტურაზე დაცუნცულებდა სტამბაში, რომლის წამკითხველი 1989 წელს, უკვე მიკნაკლებული კომუნისტები აღტაცებით წამოიძახებდნენ: ვიკა, ჯაველიძე, ვიკა!!!... „ამჟამად, როცა ეს წერილი იწერება, დიდად მნიშვნელოვანი და საინტერესო ძვრები ხდება ჩვენს ცხოვრებაში: იწყება სოციალიზმის განვითარების თვისობრივად ახალი ეტაპი, გარდაქმნის „ჯადოსნური კვერთხი“ ჩვენი ყოფის ყველა სფეროს შეეხო (ხაზგასმა ყველგან ჩემია თ.ფ.) საჯაროობა და დემოკრატიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ საჩრდილავად იქცა. ყველას, დიდსა და პატარას — პოლიტიკურ თუ კულტურულ სარბიელზე მოღვაწეს, ეს სიტყვები აკერია პირზე. ვერ ვიტყვით, რომ ჯერჯერობით დოგმატიზმის კედლები დაინგრა და მთლიანად მოისპო. ეს არც შეიძლებოდა ხელის ერთი დაკვრით მომხდარიყო, მაგრამ ყინული დაიძრა და ლღობაც დაიწყო. რა იყო გუშინ და რა ხდება დღეს?! როგორ აგორდა თავისუფალი აზრი პრესის ფურცლებზე, როგორ დაეწაფა მოწყურებული კაცივით თავისუფალ სიტყვას ჩვენი ადამიანი! ამის ეაშმჩნევა, თუ თვალი განზრახ არ გაქვს დაბინდული, შეუძლებელია!“ (ე. ჯაველიძე „თანამედროვე კრიტიკის პრობლემები“, წიგნიდან „უკეთუ სულითა“ თბილისი, „მერანი“ 1989 წ. გვ.4)

ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია და აქ უკვე კომენტარი მართლაც ზედმეტია, მაგრამ მე სულაც არ მინდა ჯაველიძის ცოდვაში ჩავდგე და ძალიან ვთხოვ მას, უკან წაიღოს თავისი სიტყვები და მართლაც არ გადაიხვეწოს საქართველოდან.

ესაა და ეს, როგორც ვხედავთ, ჯაველიძის პასკვილიდან არაფერი დარჩა, თუმცა მისი ნამდვილი სახე კარგად წარმოჩნდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ კამათში გამარჯვება დიდ სიხარულს არ მანიჭებს, რადგან დათა თუთაშხიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდი უპირატესობა მაქვს ძალიან!“ ჯაველიძეს არასოდეს ჰქონია და არც ახლა აქვს პოლიტიკური აზროვნების უნარი (მისთვის და ქვეყნისთვის უთუოდ სჯობდა იგი ლიტერატურულ კრიტიკას დასჯერებოდა), რადგან „ჩემს მინდორზე“ მებრძოდა, იძულებული გახდა თეორიულ-პოლიტიკური პოლემიკისა და არგუმენტირებული კრიტიკის ნაცვლად „დემაგოგიის“, „უზნეობის“, „სპეც.სამსახურის იდუმალ მისტერიებს ნაზიარების“ იარლიყები მოეკერა ჩემთვის. იქნებ არც ღირდა მისთვის პასუხის გაცემა, მაგრამ რადგან პოლიტიკისა და სახელმწიფო მოღვაწეობისაგან არსად წასვლას არ ვაპირებ, ვალდებული ვარ პოლიტიკურ რეპუტაციას გავუფრთხილდე და მის განზრახ შებღალვის მცდელობას საკადრისი პასუხი გავცე.

რაც შეეხება მე, თავს მაქს კებერის სიტყვებით გავიმაგრებ, რომ „მოწოდებით პოლიტიკოსი სწორედ ის არის, ვისაც სჯერა, არასოდეს შედრკება, თუნდაც საშარო მის თვალში სულელი და სძაგელი ჩანდეს; თუნდაც არ იყოს ღირსი იმისა, რისი მიძღვნაც მას უნდოდა ამ- საშაროსათვის; ვისაც ძალა შესწევს, ყველაფრის მიუხედავად თქვას: „დე მაინც“!

6.06.92

ბერიას დღიურები

ჩანაწერი მესამე

ალან უილიამსი

გაგრძელება.
დასაწყისი იხ.
გაზ. „საქართველო“ №№ 26, 27.

მოსკოვი, 1950 წელი. იანვარი.

ახალი წელი ბრწყინვალე ხუმრობით ვიზეიმეთ. ეს ხუმრობა კი შხამიან გველთან, პოსკრებიშევთან გვითამაშეთ. როცა მაგონდება, სიცილს ვერ ვიკავებ.

მან, რასაკვირველია, დაიმსახურა ეს. ძალიან საზიზღარი ტიპია. შეხედულებით იგი გადამდები დაავადების მატარებელს ჰგავს. ვერ გამიგია როგორ იტანს მას პატრონი. ალბათ იმიტომ, რომ იგი აბსოლუტურად ერთგული ლაქაა.

მაშინვე, როგორც კი დამთავრდა ზეიმი, პატრონთან გამომიძახეს. პატრონი ჩაფიქრებული დამხვდა. იგი ცარიელ ყალიონს უპლაკუნებდა და საერთოდ არ მიაკარებია ღვინოს. კარგად ვიცოდი მისი ეს მდგომარეობა — ძალიან მშვიდი და შეუპოვარი, შეუბრალებელი, ბებერ მელას ჰგავს სანამ რამეს გაგლეჯდეს. თავიდან ვიფიქრე, რომ პ-ს ბოლო დღე დაუდგა. მერე გადავწყვიტე, რომ ლაქაა ბევრ უფლებას აძლევს თავის თავს; თუმცა პ. ყველაზე ზრდილობიანი და შრომისმოყვარეა ჩვენს შორის, მაგრამ ტირანია მინისტრთა შორის, სადაც მისი გამოჩენა მუდამ ველურ შიშს იწვევს ხოლმე.

პატრონმა მითხრა, რომ პ-ს ჭკუისსწავლა გაკვეთილი უნდა მისცეს. რამე პიროვნული და ისიც მსუბუქ ფორმებში, ჩემი სურვილით. წავედი და ლეტალურად მოვიფიქრე ყოველივე. შემდეგ კი რაფიკს მივანდე მისი შესრულება.

ჩემი გეგმა კლასიკური უბრალოებით გამოირჩეოდა; თვით მოხუცის შესაფერისადაც კი.

ახალი წლის წინ პ. კრემლში გამართული ღონიობის შემდეგ შინ დაბრუნდა. კრემლში იგი პატრონის ზურგს უკან იდგა როგორც მისი ჩრდილი და ხვმდა ყველა სასმელს, რომელსაც პატრონი მიაწოდებდა და როგორც ყოველთვის, ღირივით გამოთვრა. მივიდა რა არბატზე თავის ბინაში, აღმოჩნდა რომ ცოლი შინ არ იყო. (მისი ცოლი იყო წყნარი და კეთილი პატარა ქალი, კარგი პიანისტი, რომელიც განსაკუთრებით კარგად შოპენის სონატებს უკრავდა.) ვაცალეთ პ-ს დილამდე ეტანჯა. შემდეგ კი ეუბრძანე რაფიკს გამთენიისას დაერეკა და ეთქვა, რომ მისი მეუღლე პატრონის ბრძანების თანახმად ავიყვანეთ ანტისაბჭოლური აგიტაციისთვის. მის ბინაში წინასწარ მოხასენი მოწყობილობა დავაყენეთ, რომ საშუალება გვქონოდა მისი უგვანო ღრიალი მოგვესმინა. შემდეგ მან ლოცვა დაიწყო.

— იგი ნამდვილად კარგი მღვდელივით ღიცულობდა.

მეორე დღეს სამსახურში ჩვეულებრივად დაუგვიანებლად გამოცსადდა. ერთი წუთიც კი არ დაუგვიანებია და როგორც კარგი ქოფაკი, ისე უვლიდა პატრონს. პატრონი ძალიან კარგ ხასიათზე იყო და თავისი მდივნის შესახებ ჰკვებოდა. მე ვწყევლიდი ჩვენს ინჟინრებს იმიტომ, რომ ბინაში ვიდეო-კამერების დაყენება არ შეეძლოთ, რათა ჩვენივე თვალით გვენახა ეს კომედია.

ორი დღე ვაწვალეთ პ. და მას ერთხელაც არ წამოსცდენია არავისთან თავისი მეუღლის გაუჩინარების შესახებ. თუმცა ალბათ ფიქრობდა თუ რამდენ ხანში დაატყდებიდა თავს პატრონისაგან ახალი დარტყმა. და აი, ახალი წლის მესამე ღამეს მოსახდენიც მოხდა.

შემიძლია წარმოვიდგინო, როგორ ქანობდა იგი კიბეზე ასვლისას. ბოლო სართულზე როცა ავიდა, მოესმა, რომ მის ბინაში ვიღაც უკრავდა. შევარდა ოთახში და პიანინოსთან დიანა... ქერათმიანი ქალიშვილი, რომელიც შოპენის სონატებს ასრულებდა.

ჩვენ ფიირზე მისი ჩახრინწული, თითქმის არაადამიანური ხმა გავარჩიეთ: „ვინ ხართ?“ — მან კი ისე უპასუხა, დაკვრა არ შეუწყვეტია: „ამხანაგო პოსკრებიშევ, მე თქვენი ახალი ცოლი ვარ. ამხანაგმა ბერიამ გამომგზავნა, როგორც საახალწლო საჩუქარი და ჩემით უშიშროების სამსახური გილოცავთ ახალ წელს.“

შესანიშნავი იყო ეს, ყოველივე! ჩვენ გავიგონეთ როგორ დავარდა პ. იატაკზე და ბავშვივით აღრიალდა. შემდეგ გოგონამ მიპატაკა თუ როგორ იგლეჯდა იგი შერჩენილ თმას. როგორც ჩანს, შეირყა. — თურმე ამ ძველ ინტრიგან — აპარატჩიკს ძალიან ჰყვარებია ცოლი.

ამის შემდეგ შევიბრალეთ იგი. მოვიწვიე ჩემს კაბინეტში ლუბიანკაზე და ვაცნობე, რომ მისი მეუღლე მშვენივრად გრძნობს თავს ძველი შენობის ერთ-ერთ საუცხოო კამერაში, რომლის ფართო ფანჯრები ეზოს გადაჰყურებს. ბოლოს კუთხარი, რომ შეუძლია ცოლის ნაყვანა. მან ისევ დაიწყო ღრიალი, მაგრამ მაშინვე მოვაცალე იქურობას.

მელორის ჩანაწერებიდან

დღე ჩვეულებრივად დაიწყო. დილით, რვა საათზე ბი-ბი-სის ახალი ამბების რუსული სამსახურის ხმამ გამომაღვიძა. სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო საბჭოური „ამხშობების“ გამო, რომელიც მიუნხენამდეც კი აღწევდა.

ჩემი რუსი მეზობელი ბორის დრობნოვი უკვე პატარა სამზარეულოში ჭურჭელს აბრიგინებდა. საუზმედ იმზადებდა მაგარ ჩაის, ხოსისსა და ორ თოხლო კვერცხს, რომელსაც პილპილთან ერთად თქვეფავდა ხოლმე ჭიქაში.

ვიწექი ბუფეტისხელა უკანა ოთახში, სადაც სიბნელე უფრო სჭარბობდა და თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს წინა ღლით მაგრად დავმთვრალიყავი, თუმცა აგერ უკვე ოცი კვირაა სასმელს არ გავკარებივარ. ჩემი ნახევარწლიანი კონტრაქტის დამთავრებამდე რადიოსადგურ „თავისუფალ ევროპაში“ ზუსტად ორი კვირა იყო დარჩენილი.

მე თომას მელორი ვარ. როცა ყოველივე ეს დაიწყო, მაშინ ოცდაჩვიდმეტი წლის ვიყავი. ენები კემბრიჯში სპეფო კოლეჯში შევისწავლე. ვარ ხუთი რომანის ავტორი, მჭირდა უიღბლო ქორწინება და ასე თუ ისე საკმაოდ იღბლიანი თავისუფალი ჟურნალისტის კარიერა. „თავისუფალ ევროპაში“ მუშაობისას მოვიგრავ 450 დოლარი. ლონდონის ბანკში შეტანილი მცირეოდენი დანაზოგით შევძინე „სიტროენი“. ბრულიად არ გამხნია საკუთარი ბინა, თუ არ ჩავთვლი „ბუფეტს“, რომელშიდაც ამჟამად ვარ ჩაწოლილი და რომელსაც ბორისი „იოსებ სტალინის სახელობის სტუმართა ოთახს“ ეძახი.

დღეს დილით მან ყავა დამიგვიანა. რაც დამთავრდა ახალი ამბების გადმოცემა, ვერ მომესმა, რომ იგი რუსულად ივონებდა, მერე კი საბეჭდი მანქანა „ოლივეტის“ კაკუნიც გავიგონე. ბოლოს, როგორც იქნა გამოჩნდა. ხელში მას ორი ფურცელი ეჭირა. გაჯავრებული ჩანდა.

— წაიკითხე ტომ. ნახე ეს ნაძირალა რას წერს.

მან მომაწოდა ერთი ფურცელი, რომელზედაც ტექსტი გერმანულად იყო დაბეჭდილი.

„პატივცემულო ბატონო დრობნოვ,

გუშინ, მანამ თქვენ სამსახეში იყავით, შევამოწმე ელიზაბეტ შტრასეს ქუჩის 25-ე სახლში ბინა, რომლის დამქირავებლადაც თქვენ ითვლებით. მდგომარეობა საშინელია. ამას გარდა, ქალაღდები, რომელიც ბინაშია სერიოზულ საშიშროებას ქმნის ხანძრისათვის.

თუ ჩემი მოთხოვრები შესრულებული არ იქნება, იძულებული იქნებით ხვა ბინა ეძებოთ.

პატივისცემით თქვენი

ადოლფ შტოლეი (სახლის მეპატრონე)“

როცა ეს წაიკითხე, ბორისმა მეორე ფურცელი გამომიწოდა. ტექსტი აქაც გერმანულ ენაზე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბატონო შტოლეი,

როდესაც ინებებთ ცივილიზებული მანერით მოწერას, თანახმა ვიქნები გიპასუხოთ.

ბორის დრობნოვი.“

— მე შევასრულებდი მის თხოვნას, — ნამძინარევი სახით ვუთხარი მას. — მთელი უსიამოვნებანი იქნება თუ შენს მთელ ნარახერას სხვა ბინაში გადვიტანთ.

— ჩემი ნარახერა! — აღელდა იგი. — ის, რასაც ეს გერმანელი ნაძირალა ქაღალდებს ეძახის, ჩემი კართოტეკა, ჩემი ბიბლიოთეკა, მთელი ჩემი დაწყევლილი ცხოვრება!

გამოცდილებით ვიცოდი, რომ ბორისთან კამათი არ შეიძლებოდა. გარდა ამისა არც ბატონი შტოლეი იყო მტკუანი. ბორისის ბინა წარმოადგენდა რუსეთში კოსმოსის ქაოსის რაღაც უნიკალურ ერთეულს. ბინაში ძალიან ცოტა ავეჯი იყო. სამაგიეროდ მთელი სივრცე, კედლები, მაგიდა, საბანაო, სათავსო და საუჭმაო იატაკიდან ჭერამდე წიგნებით, ჟურნალებითა და ძველი გაზეთებით იყო გაჭედილი.

ჩემი ოთახი თითქმის სანახევროდ იყო გავსებული გაზეთ „პრავდის“ უკანასკნელი ათი წლის ნომრებით, ათასობით გაზეთის ამონაჭრებით, ერთადერთ ფასეულ ნივთს ბინაში რადიომიმღებისა და „ოლივეტის“ გარდა ხატი და ძველებური რუსული საბეჭდი მანქანა წარმოადგენდა, რომელიც ოდესღაც საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთ ლიდერს ლევ კამენევს ეკუთვნოდა. ეს მანქანა მან ბორისის მამას აჩუქა.

ბორისი ისევ ჩემს საწოლთან იდგა და გაჯავრებული მიცქერიდა. იგი იყო ჩაფსკვნილი, მსუქანი პირისახის. მისი ხშირი თმა უკვე შეთხელებას იწყებდა. თმა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ სავარცელსა და ჯავრისს. მისი დაჭეტილი თვალები დაჭყლეტილ ხილს ჰგავდა. გარდა ამისა მას არასასიამოვნო მანერებიც ჰქონდა. როცა გაჯავრდებოდა თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა და სახე მრისხანებისაგან უთრთოდა.

ფიზიკურად იგი ძალიან ძლიერი იყო, და თუმცა სიმსუქნით გამოირჩეოდა, მხრები მეშახტეს მეუბავდა და თეძოები — მოჭიდავეს. იგი ხელოვნური ნაწარმის სტანდარტულ კოსტიუმებს ატარებდა, რომელიც იღლიებში შედამ გამოხეული ჰქონდა. ფართო შარვალი ისე დაკუჭული იყო, როგორც დაშვებული აყრა. ხშირად ოფლიანობდა და თუმცა დიდ დროს ახმარდა ტალღებს, არასოდეს არ გამოიყენებდა სუფთად გაპარსულად და დასანილად.

(გაგრძელება იქნება)

ემიგრანტები

ქართველ წინაპართა უშრეტი ენერგიისა და თავდადებისადმი ნათელი ხსოვნით

ჩვენამდე მოაღწია მადლიერმა რწმენა-გულისთქმამ: წინა, უკანას ხიდია-ო. დიახ, სწორედ მათ გაგვიდეს ამ წუთისოფელში ჩვენთვის გასავლელი ხიდი... რაია ვიაროთ და სახელგაუტეხლად ვატაროთ ჩვენი ქვეყანაც, ვატაროთ ისე, რომ ჩვენც შეგვეძლოს, წელში გამართული სამშობლო გადავაბაროთ ჩვენსავე მომავალ თაობას — არა მარტო სალაღობოდ, ან ცრემლით მორწყული, არამედ შრომითი აღმშენებლობით, თუნდაც ოფლით გაწეული უღლით... ჯერ ის, რომ შრომა ჩვენვე გაგვაკეთილშობილებს, დაგვაახლოვებს — გაგვამთლიანებს.

ამ რწმენითა და გზით მოარული ქართველი, მრავალი გვყოლია საქართველოს, როგორც შიგნით, ისე გარეთ გახიზნული და ემიგრანტად ჩასახლებული სხვის ქვეყანაშიც... და აი, რა უპრეცედენტო მოვლენად გვესახება, ის ქართველი, როცა სამშობლოდან თვალს მიფარული, გული რომ მაინც ქართულად უძგერს და ულევ იმპულსებად აწვდის გონებას, იმ ამაღლებულ შეგნებას, რომ არა თუ დაივიწყოს სამშობლო, თავს მოვალედაც ხდის... იქ შორიდანაც რა უწამლოს, რა მალამო სცხოს მრავალ ნაჭრილობევ თავის საქართველოს.

რეტროსპექტული ხასიათისა გახლავთ ეს გახსენება, იმ ჩვენი მამულიშვილის მიმართ, ვინც გერმანიაში დაიდო ბინა, გერმანელ ხალხსა და ხელისუფლებაშიც მაღალი პატივით რომ შეაღწია მისმა მაღალკეთილშობილურმა პიროვნულმა ღირსებამ და ამითვე შესძლო როგორმე ზრუნვა აღმოეჩინა იქ მყოფ ტანჯულ ქართველ სამხედრო ტყვეთათვის.

ასეთი იყო ბატონი გიორგი ალექსანდრეს-ძე მაღალაშვილი — „თეთრი გირგის საზოგადოების“ ერთერთი აქტიური ჩამომყალიბებელი და შემდგომ „გაზეთ „ქართველი ერი“-ს პირველი რედაქტორი.

დიახ, მან აკეთა იქ ტანჯული ქართველების საქმეკ... რომელიც შევიტყვე ამ 25 წლის წინათ... მაგრამ ვსდუმდი.

თქმულა: ზოგნი სდუმან, რადგან, არ იციან რა სთქვან, ზოგნი კი, სდუმან, მაგრამ იციან, როდის უნდა სთქვან.

აი, იმ 25 წლის წინ, წამომწია ცნობილი მეღვინე ბატონი ხოსრო ლევანის-ძე ხოსროშვილი და მამცნო: „რა ხანია მინდა გითხრა... შენ ხომ მაღალაშვილი ხარ და, აბა ერთი ნახე ჩემი ძმა ენისელში (ყვარლის რ-ნი) და ის გეტყვის... კონცლაგერში იჯდა, გერმანიაში და იქ ბევრი ქართველი გამოუყვანია და გადაურჩენია, იქაურ მაღალაშვილსა“-ო.



სურათზე: გიორგი მაღლაშვილი მამასთან, ექიმ ალექსანდრე მაღალაშვილთან

მეორე დილითვე გახლდით ენისელში, მევენახე-აგრონომ ბატონ გიორგი ხოსროშვილთან. მან გაიხარა. ადრეც ვიცნობდი. პატარა ტაბლა გააწყო და 3-4 ჭიქის შემდეგ, საუბარი რომ უფრო გათბა, დავძარი სათქმელი.

— ჩემო გიორგი, სახელით მიცნობ, მაგრამ გვარად რომ მაღალაშვილი ვარ აღარ გეხსომება... გუშინ ხოსრომ მითხრა, გერმანიაში ვინმე მაღალაშვილს უხსნია შენი თავი... აი, ჩემი ძმა მოგიყვებაო.

მასპინძელმა, ჯერ ფიქრს მისცა თავი, ტანჯული წარსულის გახსენებამ ნისლივით გადაურბინა, შემდეგ კი, თითქოს მზის სხივივით გაუნათდა თვალები, დასწვდა საღვინეს... შეავსო ჭიქები და ორივე ჭიქის მაღლა აწევით დაიწყო ლოცვა-სადღეგრძელო: — ეჰ, აი უკვე ამ ხნის კაცი ვარ, მეზობლებისა და ახლო ნათესავების მეტი რა მყავს... იმდენი სიკეთე და პატრონობა, რაც იმ დიდებულმა გიორგი მაღალაშვილმა, მე და სხვა 500-ზე მეტ ტყვე ქართველობას გაგვიწია — ქვეყანაზე არავის უკეთებია...

— კონცლაგერში სამი ქართველი ვიყავით, გამოგვიძახეს, ჩაგვსხეს მანქანაში და გაგვიყვანეს. ჯერ შევფიქრიანდით, მაგრამ რაკიღა პატივისცემით შეგვავლეს თვალი, დავწყნარდით. მიგვიყვანეს ვილაცას დიდ მამულში... რა ვნახე კაცო?!... იმდენი ქართველი ერთად რა ხანია არ შენახა, ... ერთი სიტყვით, ჩვენც იქ შევემატეთ... და აი, როცა სასწორი შეტრიალდა, და ბერლინის დაცემა დაიწყო, ჩვენ, ერთად თავშეყრილ ქართველობის წინაშე, ბატონმა გიორგიმ, თვალზეცრემლმომდგარმა, მიკროფონით მოგვმართა: მე თქვენ ყველას ერთად, რომ გიყურებთ, თავი საქართველოში მეგონა, გულს თქვენით ვითბობდით... ეხლა დრო შეიცვალა, ჩემი და თქვენი აქ დარჩენა საშიში ხდება, მე მეორე დიდი მამული მაქვს სამხრეთით და იქ უნდა გადავიდე, ვისაც კომუნისტებისა გეშინიათ, თქვენც წამოდით, იქაც სიმშვიდე გექნებათო. აბა, მე რა გამაჩერებდა, კახელ კაცს... მადლობით დავეშშვიდობეთ რამდენიმე და წამოვედით. იმისი სიტყვები გამართლდა, ხუთი წელი შუა აზიაში მაყურყუტეს და მერეღა დავბრუნდი ჩემს ოჯახსა და სოფელში.

მართლაც უპრეცედენტო მოვლენაა, იყო ქართველი, ქართული საქმე აკეთო იქ, ურთიერთ სამმავლო ხიდი აშენო... და აქ კი, ქართველმა აფეთქოს, ლიანდაგებო აყაროს, ენერგომატარებლები და კავშირგაბმულობის დანადგარ-მოწყობილობა გაძარცვოს, რათა მისგან სპილენძი გადაჭრას, თურქეთს გაიტანოს, საქართველო ნაწილ-ნაწილ გაყიდოს, თვითონ სამარცხვინოთ გამდიდრდეს... აბა, დღეს ამისთანა ქართველმა რა ხიდი უნდა დაუდოს თავის მომავალს?

კეთილკაცობა და ავკაცობა, უცებ გერმანულ ენაზე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბატონო შტოლეი,

როდესაც ინებებთ ცივილიზებული მანერით მოწერას, თანახმა ვიქნები გიპასუხოთ.

ბორის დრობნოვი.“

— მე შევასრულებდი მის თხოვნას, — ნამძინარევი სახით ვუთხარი მას. — მთელი უსიამოვნებანი იქნება თუ შენს მთელ ნარახერას სხვა ბინაში გადვიტანთ.

— ჩემი ნარახერა! — აღელდა იგი. — ის, რასაც ეს გერმანელი ნაძირალა ქაღალდებს ეძახის, ჩემი კართოტეკა, ჩემი ბიბლიოთეკა, მთელი ჩემი დაწყევლილი ცხოვრება!

გამოცდილებით ვიცოდი, რომ ბორისთან კამათი არ შეიძლებოდა. გარდა ამისა არც ბატონი შტოლეი იყო მტკუანი. ბორისის ბინა წარმოადგენდა რუსეთში კოსმოსის ქაოსის რაღაც უნიკალურ ერთეულს. ბინაში ძალიან ცოტა ავეჯი იყო. სამაგიეროდ მთელი სივრცე, კედლები, მაგიდა, საბანაო, სათავსო და საუჭმაო იატაკიდან ჭერამდე წიგნებით, ჟურნალებითა და ძველი გაზეთებით იყო გაჭედილი.

ჩემი ოთახი თითქმის სანახევროდ იყო გავსებული გაზეთ „პრავდის“ უკანასკნელი ათი წლის ნომრებით, ათასობით გაზეთის ამონაჭრებით, ერთადერთ ფასეულ ნივთს ბინაში რადიომიმღებისა და „ოლივეტის“ გარდა ხატი და ძველებური რუსული საბეჭდი მანქანა წარმოადგენდა, რომელიც ოდესღაც საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთ ლიდერს ლევ კამენევს ეკუთვნოდა. ეს მანქანა მან ბორისის მამას აჩუქა.

ბორისი ისევ ჩემს საწოლთან იდგა და გაჯავრებული მიცქერიდა. იგი იყო ჩაფსკვნილი, მსუქანი პირისახის. მისი ხშირი თმა უკვე შეთხელებას იწყებდა. თმა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ სავარცელსა და ჯავრისს. მისი დაჭეტილი თვალები დაჭყლეტილ ხილს ჰგავდა. გარდა ამისა მას არასასიამოვნო მანერებიც ჰქონდა. როცა გაჯავრდებოდა თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა და სახე მრისხანებისაგან უთრთოდა.

ფიზიკურად იგი ძალიან ძლიერი იყო, და თუმცა სიმსუქნით გამოირჩეოდა, მხრები მეშახტეს მეუბავდა და თეძოები — მოჭიდავეს. იგი ხელოვნური ნაწარმის სტანდარტულ კოსტიუმებს ატარებდა, რომელიც იღლიებში შედამ გამოხეული ჰქონდა. ფართო შარვალი ისე დაკუჭული იყო, როგორც დაშვებული აყრა. ხშირად ოფლიანობდა და თუმცა დიდ დროს ახმარდა ტალღებს, არასოდეს არ გამოიყენებდა სუფთად გაპარსულად და დასანილად.

(გაგრძელება იქნება)

ჩვენამდე მოაღწია მადლიერმა რწმენა-გულისთქმამ: წინა, უკანას ხიდია-ო. დიახ, სწორედ მათ გაგვიდეს ამ წუთისოფელში ჩვენთვის გასავლელი ხიდი... რაია ვიაროთ და სახელგაუტეხლად ვატაროთ ჩვენი ქვეყანაც, ვატაროთ ისე, რომ ჩვენც შეგვეძლოს, წელში გამართული სამშობლო გადავაბაროთ ჩვენსავე მომავალ თაობას — არა მარტო სალაღობოდ, ან ცრემლით მორწყული, არამედ შრომითი აღმშენებლობით, თუნდაც ოფლით გაწეული უღლით... ჯერ ის, რომ შრომა ჩვენვე გაგვაკეთილშობილებს, დაგვაახლოვებს — გაგვამთლიანებს.

ამ რწმენითა და გზით მოარული ქართველი, მრავალი გვყოლია საქართველოს, როგორც შიგნით, ისე გარეთ გახიზნული და ემიგრანტად ჩასახლებული სხვის ქვეყანაშიც... და აი, რა უპრეცედენტო მოვლენად გვესახება, ის ქართველი, როცა სამშობლოდან თვალს მიფარული, გული რომ მაინც ქართულად უძგერს და ულევ იმპულსებად აწვდის გონებას, იმ ამაღლებულ შეგნებას, რომ არა თუ დაივიწყოს სამშობლო, თავს მოვალედაც ხდის... იქ შორიდანაც რა უწამლოს, რა მალამო სცხოს მრავალ ნაჭრილობევ თავის საქართველოს.

რეტროსპექტული ხასიათისა გახლავთ ეს გახსენება, იმ ჩვენი მამულიშვილის მიმართ, ვინც გერმანიაში დაიდო ბინა, გერმანელ ხალხსა და ხელისუფლებაშიც მაღალი პატივით რომ შეაღწია მისმა მაღალკეთილშობილურმა პიროვნულმა ღირსებამ და ამითვე შესძლო როგორმე ზრუნვა აღმოეჩინა იქ მყოფ ტანჯულ ქართველ სამხედრო ტყვეთათვის.

ასეთი იყო ბატონი გიორგი ალექსანდრეს-ძე მაღალაშვილი — „თეთრი გირგის საზოგადოების“ ერთერთი აქტიური ჩამომყალიბებელი და შემდგომ „გაზეთ „ქართველი ერი“-ს პირველი რედაქტორი.

დიახ, მან აკეთა იქ ტანჯული ქართველების საქმეკ... რომელიც შევიტყვე ამ 25 წლის წინათ... მაგრამ ვსდუმდი.

თქმულა: ზოგნი სდუმან, რადგან, არ იციან რა სთქვან, ზოგნი კი, სდუმან, მაგრამ იციან, როდის უნდა სთქვან.

აი, იმ 25 წლის წინ, წამომწია ცნობილი მეღვინე ბატონი ხოსრო ლევანის-ძე ხოსროშვილი და მამცნო: „რა ხანია მინდა გითხრა... შენ ხომ მაღალაშვილი ხარ და, აბა ერთი ნახე ჩემი ძმა ენისელში (ყვარლის რ-ნი) და ის გეტყვის... კონცლაგერში იჯდა, გერმანიაში და იქ ბევრი ქართველი გამოუყვანია და გადაურჩენია, იქაურ მაღალაშვილსა“-ო.

სურათზე: გიორგი მაღლაშვილი მამასთან, ექიმ ალექსანდრე მაღალაშვილთან

მეორე დილითვე გახლდით ენისელში, მევენახე-აგრონომ ბატონ გიორგი ხოსროშვილთან. მან გაიხარა. ადრეც ვიცნობდი. პატარა ტაბლა გააწყო და 3-4 ჭიქის შემდეგ, საუბარი რომ უფრო გათბა, დავძარი სათქმელი.

— ჩემო გიორგი, სახელით მიცნობ, მაგრამ გვარად რომ მაღალაშვილი ვარ აღარ გეხსომება... გუშინ ხოსრომ მითხრა, გერმანიაში ვინმე მაღალაშვილს უხსნია შენი თავი... აი, ჩემი ძმა მოგიყვებაო.

მასპინძელმა, ჯერ ფიქრს მისცა თავი, ტანჯული წარსულის გახსენებამ ნისლივით გადაურბინა, შემდეგ კი, თითქოს მზის სხივივით გაუნათდა თვალები, დასწვდა საღვინეს... შეავსო ჭიქები და ორივე ჭიქის მაღლა აწევით დაიწყო ლოცვა-სადღეგრძელო: — ეჰ, აი უკვე ამ ხნის კაცი ვარ, მეზობლებისა და ახლო ნათესავების მეტი რა მყავს... იმდენი სიკეთე და პატრონობა, რაც იმ დიდებულმა გიორგი მაღალაშვილმა, მე და სხვა 500-ზე მეტ ტყვე ქართველობას გაგვიწია — ქვეყანაზე არავის უკეთებია...

— კონცლაგერში სამი ქართველი ვიყავით, გამოგვიძახეს, ჩაგვსხეს მანქანაში და გაგვიყვანეს. ჯერ შევფიქრიანდით, მაგრამ რაკიღა პატივისცემით შეგვავლეს თვალი, დავწყნარდით. მიგვიყვანეს ვილაცას დიდ მამულში... რა ვნახე კაცო?!... იმდენი ქართველი ერთად რა ხანია არ შენახა, ... ერთი სიტყვით, ჩვენც იქ შევემატეთ... და აი, როცა სასწორი შეტრიალდა, და ბერლინის დაცემა დაიწყო, ჩვენ, ერთად თავშეყრილ ქართველობის წინაშე, ბატონმა გიორგიმ, თვალზეცრემლმომდგარმა, მიკროფონით მოგვმართა: მე თქვენ ყველას ერთად, რომ გიყურებთ, თავი საქართველოში მეგონა, გულს თქვენით ვითბობდით... ეხლა დრო შეიცვალა, ჩემი და თქვენი აქ დარჩენა საშიში ხდება, მე მეორე დიდი მამული მაქვს სამხრეთით და იქ უნდა გადავიდე, ვისაც კომუნისტებისა გეშინიათ, თქვენც წამოდით, იქაც სიმშვიდე გექნებათო. აბა, მე რა გამაჩერებდა, კახელ კაცს... მადლობით დავეშშვიდობეთ რამდენიმე და წამოვედით. იმისი სიტყვები გამართლდა, ხუთი წელი შუა აზიაში მაყურყუტეს და მერეღა დავბრუნდი ჩემს ოჯახსა და სოფელში.

მართლაც უპრეცედენტო მოვლენაა, იყო ქართველი, ქართული საქმე აკეთო იქ, ურთიერთ სამმავლო ხიდი აშენო... და აქ კი, ქართველმა აფეთქოს, ლიანდაგებო აყაროს, ენერგომატარებლები და კავშირგაბმულობის დანადგარ-მოწყობილობა გაძარცვოს, რათა მისგან სპილენძი გადაჭრას, თურქეთს გაიტანოს, საქართველო ნაწილ-ნაწილ გაყიდოს, თვითონ სამარცხვინოთ გამდიდრდეს... აბა, დღეს ამისთანა ქართველმა რა ხიდი უნდა დაუდოს თავის მომავალს?

კეთილკაცობა და ავკაცობა, უცებ იმიტომ დავაპირისპირე, რომ არჩევანი თვალნათელი გამეხადა.

ნათელ ადამიანთა წარსულიდან, ის უხილავი სხივი ვეძიოთ, ნათელვყოთ და რაგინდა რა გულქვა იყოს აწმყო, უთუოდ მასაც გაალღობს, გაჟონავს მისგან სიბოროტეს და ამ გახსენებებით შთააგონოს წამებული დღევანდელობა, იქნებ მანკიერი „მე“ შეგვაცვლევინოს „ჩვენი“-თ.

ამიტომ, ჩვენს მამა-პაპათა შორის, რაკი დიდებით გამორჩეულ პირთა რიცხვი უამრავია, მათ რიცხვში უდაოდ იმსახურებს ბატონი გიორგი ალექსანდრეს-ძე მაღალაშვილის ნამოღვაწარი, საპატიო ღირსებით მისი სამაგალითო პატრიოტად წარმოჩენას და აღიარებას.

ასეთ გამოჩენილ პიროვნებებზე, უკვდავ ძეგლად უნდა აღვმართოთ ფრანგი მეცნიერ-ისტორიკოსის ე.რენანის ხატოვანი ღირსებით სხმული გამონათქვამი: „წარსული და მომავალი, აშუქებს მხოლოდ დიდბუნებოვან კაცთ, ისე როგორც ამომავალი და ჩამავალი მზე ასხივსნებს — მაღალ მთის მწვერვალთ“.

ალ.მაღალაშვილი

P.S. მადლობის გრძნობას იმსახურებს პროფესორი — მკვლევარი ბატონი გურამ შარაძე, რომელიც დაეძებს და ნათელს ჰფენს ქართველ იმ ემიგრანტთა ნამოღვაწარს, ფრიად რომ წაადგება საქართველოს. მან ვიდეოფირზე აღბეჭდა ბ-ნ გიორგი მაღალაშვილის ბიბლიოთეკა და ამ დიდებული მამის მემკვიდრე ბატონი კონსტანტინეს ოჯახი, თავისი ნაყოფიერი საქმიანობით.

აქვე მინდა განვმარტო, რომ ცარისტული რუსეთის რეჟიმი ქართველთა გვარებს „არუსულებდა“, ისე როგორც ცნობილია „ციციანოვ“, „ბარატოვ“ და სხვანი. ასევეა მაღალაშვილი იქ „მაგალოვ“-ად, ბატონ გიორგის შვილები: კონსტანტინე, ნიკო და სანდრო.

კაცი-პერპეტუუმ-მობილე

ანუ მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურის ნაკვალევზე

გინესის წიგნის თეთრმეტგზის რეკორდსმენის, მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურის, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას გამცილებელთა ჯგუფში რომ შემიყვანეს, ვიფიქრე, გზადაგზა ბევრი ადამიანი შემხვდება და გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟ ჩაჩას მსგავსად, დარდებსაც შევაგროვებ მეთქი. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ ამ ჩანაფიქრს ჩემი დარდის აღწერით დავიწყებდი.

საქმე ისაა, რომ ჩვენი ტრანსპორტის გადამკიდეს, სულ რაღაც, ხუთიოდე წუთი დამაგვიანდა თბილისის მერიათან მისვლა, საიდანაც რუსთავში „რაფი“ უნდა გასულიყო (მოგეხსენებათ, ამ ეპოქალურ მოგზაურობას სტარტი აქ უნდა აეღო). ჩვენი ჯგუფის წევრებსაც, მაინცდამაინც, მაშინ გამოედოთ თავი და გერმანული სიზუტის გასულიყნენ.

ვერაფერიშვილი შეღავათი იყო ის, რომ ჩემსავით დააგვიანდა, ერთ-ერთ გამცილებელს, ჩემს მეგობარს, გაზეთ „დედამიწის“ პასუხისმგებელ მდივანს ავთანდილ გურსაშვილს. კაცს, რომელიც საერთოდაა დაგვიანების დიდოსტატი, მაგრამ ამით არასოდეს დაზარალებულა.

თუ როგორი ჯახირით ჩავედით რუსთავში და როგორ შემთხვევით დაგვინახეს „რაფელებმა“, ამის მოყოლით თავს აღარ შეგაწყენთ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩვენი კუთვნილი ადგილი დავიკავეთ (ჩვენი სადარდებელიც აქ დამთავრდა) და ბატონ ჯუმბერის კვალს დავადექით, რომელიც ენერგიულად მიაპობდა ჭარს (მოგვიანებით იგი იტყვის — საქართველოში ეს იყო ყველაზე მძიმე მონაკვეთი).

„მას ძალა კოსმოსიდან მიეწოდება“

პირველი შესვენება სიონის კათედრალურ ტაძართან შედგა. აქ გასაცილებლად მოსულთაგან, ერთ-ერთს უფოლოგ ბატონ თალეს შონიას გამოველაპარაკეთ.

— ჯუმბერს დიდი ხანია ვიცნობ. ერთადაც გვიმუშავია. მას ძალა კოსმოსიდან მიეწოდება. კუნთები, ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, ფორმალურ მხარეს ასრულებს. ამას გარდა ჯუმბერს ღმერთი მფარველობს და დარწმუნებული ვარ იგი თავის მისიას შეასრულებს.

სიონთან გავიცანი ბატონი ნუგზარ კიკნაძე. კაცი, რომელიც მერმის, თავისი ხელით აგებული ფფრიანი ნავით აპირებს ერთ წელიწადში, მარტოდმარტომ შემოუაროს დედამიწას. არაა გამორიცხული, რომ ის და ბატონი ჯუმბერი დედამიწის რომელიმე წერტილში ერთმანეთს შეხვდნენ.

საოცარი დამთხვევაა, რომ ბატონი ნუგზარი , ისევე როგორც ბატონი ჯუმბერი ელექტროინჟინერია (სხვათაშორის ერთ ელექტროინჟინერს სარფამდე კიდევ შევხვდებით).

არცთუ ლირიკული გადახვევა: 1987 წელს ბატონმა ჯუმბერმა კლინიკური სიკვდილი გადაიტანა (მას განგრენა დაეწყო და ქირურგებმა სამი მეტრი ნაწლავი ამოკვეთეს). იგი გვირაბის ბოლოს განათებულ ადგილას გავიდა და ზღაპრული სილამაზის მთები და ცა დაინახა. სფეროს ქვეშ სამი კაცი იდგა. მათ ბატონ ჯუმბერს უთხრეს, რომ იგი, უკან, დედამიწაზე უნდა დაბრუნებულიყო, რადგან დიდი საქმეები ელოდა.

ბატონ ჯუმბერს ძალიანაც არ უნდოდა იქაურობის დატოვება, მაგრამ უსიტყვოდ დამორჩილდა. ექიმები მას უკეთეს შემთხვევაში ხეიბრის ეტლს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ დიდი ნებისყოფით შესძლო ფეხზე დადგომა. ექვსიოდე თვის შემდეგ კი, მანქანით ქუჩაში სასეირნოდ გამოსულმა დაინახა კაცი, რომელიც მანქანას ვერ ქოქავდა. სალონში კი მისი შვილიშვილები სიცივისგან იბუზებოდნენ. ბატონი ჯუმბერი, რომელსაც ჭრილობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული, მთელი ძალით მიაწვა მანქანას და... მეორე ოპერაცია არანაკლებ მძიმე გამოდგა, ვიდრე პირველი. განკურნება კი უფრო რთული და ხანგძლივი, მაგრამ დიდმა ნებისყოფამ კვლავ თავისი გაიტანა. ვარჯიში ხებრის ეტლში დაიწყო...

სვეტიცხოველში

დარდი N 2-3. მორიგი ორი გაჩერება მცხეთაში სვეტიცხოველთან მოხდა. ბატონმა ჯუმბერმა, ისევე როგორც სიონში, სანთლები დაანთო. ერთ-ერთი აქედან სამი წლის წინ გარდაცვლილ მეუღლეს ეკუთვნობა. ადამიანს, რომლის სულმა არაერთხელ მოუწონადა დაუჭირა მხარი მეუღლის მოგზაურობას.

სვეტიცხოვლის მღვდელმა ტაძრის ნიშიდან წმინდა მიწა გაატანა ბატონ ჯუმბერს.

მოგზაურის თვალცრემლიან ქალიშვილებს, მაიასა და ხათუნას დაველაპარაკე.

— ძალიან გვეამაყება, რომ ასეთი მამა გვყავს, მაგრამ ძალიან გვადარდებს მისი რთული გზა, და ის, რომ დიდხანს ვერ ვნახავთ.

— ბაბუა რომ ჩამოვა, მე თორმეტი წლის ვიქნები, — მითხრა ექვსი წლის ლაშამ, ოთხთაგან ერთ-ერთმა შვილიშვილმა.

დადგა დიდი დამშვიდობების დრო. ეს იყო ამ მოგზაურობის ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი მომენტი. ბატონი ჯუმბერის ბოლო სიტყვა იყო — ერთმანეთს მიხედეთ.

მცხეთაშივე, ქერდიკაშვილების ოჯახში, გამოსამშვიდობებელი სუფრა გაიშალა. მასპინძლისთვის, ბატონ შოთასთვის არ მიკითხავს რა დარდი აწუხებდა — კედლიდან გვიმზერდა ახალგაზრდა ვაჟკაცის (შვილის) გადიდებული სურათი...



პირველი საჯილდაო ქვა

ღამე ხაშურში უნდა გაგვეთია და წინ საკმაოდ დიდი გზა გვქონდა.

გორში, სტალინის ძეგლთან, გამველ-გამომვლელები შემოგვეხვივნენ, ყველას აინტერესებდა ახლოს ენახათ ჯუმბერ ლეჟავა. ერთმა ახალგაზრდამ მკლავზეც კი შეახო ხელი — კუნთები მოუსინჯა.

გორის ასავლელი აღმართი პირველი საჯილდაო ქვა აღმოჩნდა ხარკოვში საგანგებოდ დამზადებული ველოსიპედისთვის. სამწუხაროდ, პირველივე მონაკვეთზე, ჯაჭვი კბილანებს ასცდა და ველოსიპედმა და პატრონმა როლები გაცვალეს. მოვლენებს წინ გავუსწრებ და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ იგივე ავადმყოფობა ველოსიპედს კიდევ რამდენჯერმე დაემართა.

სამი პამიდვრის ფვლილი

„რაფელები“ დავწინაურდით, რომ ხაშურში სასტუმროს საქმე მოგვეგვარებინა. ორი საათის შემდეგ, ღამის თერთმეტ საათზე, ხაშურში ბატონი ჯუმბერიც შემოვიდა (იმ დღეს მან 180 კილომეტრი გაიარა). მანამდე კი, როგორც მოგზაურობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა ბატონმა რობერტ ღარიბაშვილმა გვითხრა, ადგილობრივ სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ბოდიში მოუხდია — რესტორანი რვა საათზე დაიკეტა და ვახშამზე უკაცრავადო.

სამწუხაროდ, ვერც მცხეთის დიდებული სუფრის გახსენებამ გვიშველა და ვერც იმან, რომ მოგზაური ყველა გაჭირვებისთვის, და მათ შორის შიმშილისთვისაც, მზად უნდა იყოს. ჩვენი უმთავრესი საწუხარი იყო ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, რომელსაც ენერგიის აღსადგენად კალორიული საკვები სჭირდება.

ყველას მაშინ მოგვაგონდა, რომ ბრმად ვენდეთ ორგანიზატორებს და სახლიდან არაფერი გამოვიყოლეთ.

აქ ნაწილობრივ გვიშველა „ივექსის“ კორესპონდენტის ბესო ჭინჭარაულის „ხელმრუდობამ“, რომელმაც გზაზე ღობიდან მომზირალ წითელმწვანე სამპამიდორს ადგილი შეუცვალა. ამ ნობათს ცოტ-ცოტა რამ სხვებმაც მიუმატეს და საუკუნის მოგზაურობის გაგრძელებაში თავისი ისტორიული წვლილი შეიტანეს.

არაკომპეტენტურობის გამო გვიჭირს იმის განსაზღვრა ხაშურის სასტუმრო რამდენ ვარსკვლავიანი იყო, მაგრამ, როდესაც სართულის მორიგემ გვახარა — ნათურიანი ოთახი გიპოვეთო, ქვეცნობიერად მივხვდი რომ ბედნიერ ვარსკვლავზე ვიყავით გაჩენილები.

აქვე ერთი აღმოჩენაც დავაფიქსირე — ყველა გრაფინს თავი ჰქონდა წამტვრეული, სულო ცოდვილო — აქაოდა და მოპარვისგან დავაზღვევთო. დილის ექვსის ნახევარზე, ძირითადი და დამხმარე „ეკიპაჟი“ სრულ მზადყოფნაში ვიყავით. სამწუხაროდ, ხაშურელებმა ვერ გაიგეს, რომ მათ სასტუმროში ღამე გაათია მოგზაურმა, რომელიც, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საპატიო ადგილს დაიკავებს მსოფლიოს მოგზაურთა ელიტაში.

ლირიკული გადახვევა: გინესის წიგნში დედამიწის გარშემო ველოსიპედით მოგზაურობის სამი მნიშვნელოვანი ფაქტია აღნიშნული. ყველაზე ხანგძლივი იყო შოტლანდიელი ტომი ჩემბერსის მოგზაურობა. მან 1922 წელს დაიწყო და 1973 წელს დაამთავრა (გაიარა მილიონ 200 ათასი კილომეტრი). ხანგძლივობით მეორე ადგილზეა ინგლისელი უოლტერ სტიელი — 1952-1976 (18 წელიწადში დაფარა 650 ათასი კილომეტრი). კანადელმა ჯონ სატაუმ ყველა კონტინენტის შემოვლას ოთხი წელი მოანდომა (გაიარა 81 800 კილომეტრი)

თბილისელმა ჯუმბერ ლეჟავამ, შვიდი წლის განმავლობაში, უნდა გაიაროს 300 ათასი კილომეტრი. აქედან 240 ათასი ველოსიპედით, დანარჩენი გემით. ამ ხნის განმავლობაში იგი უნდა შევიდეს ყველა ქვეყანაში, გარდა კუნძულების ხერდისა და მაკდონალდის.

მოდით, ბარემ აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ საქართველოში პირველი ველოსიპედი ნიკო ნიკოლაძეს შემოუტანია.

შეხვედრა „ხუტა უფროსთან“

მომდევნო მცირე შესვენება შროშამდე გვქონდა — „სულიკოს“ მე[illegible] მორიალთან. აქ მოხდა ერთი საოცარი დამთხვევა (ეს სიტყვა მგონი ადრეც ვიხმარე), მემორიალთან მოსაუზმე კაცებს შორის შევიცანით ფილმ „რეკორდის“ მთავარი როლის შემსრულებელი გოვენ ჭეიშვილი — „ხუტა უფროსი“. სწორედ ამ ფილმის, ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ქვის მსროლელი ჯოტიას სახელი ჰქვია, საქართველოს არაჩვეულებრივი რეკორდების ყლუბს, რომლის პრეზიდენტი გახლავთ ბატონი ჯუმბერ ლეჟავა.

ბატონი გოვენი ამჟამად ქუთაისის თეატრში მუშაობს და თბილისში იმიტომ მიდიოდა, რომ შვილიშვილი — გიორგი შესძენოდა.

სამწუხაროდ, ბატონ გოვენს ფეხი ჰქონდა გაკავებული და ბატონმა გვანჯი მანიამ, „მოგზაურობა-93“-ის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა, სთხოვა ბატონ ჯუმბერს ეჩვენებინა ის ვარჯიშები, რომლითაც თვითონ განიკურნა.

დარდი N 4: ბატონი გოვენი — იცით რა მადარდებს? მეგობრდან მეგობართან რომ გადავდივარ და მეშინია გზაში ვინმემ ავტომატი არ დამახალოს.

სტუმრად ბიჭიკო სულიაშვილის ოჯახში.

შროშასთან მეთუნეებმა ბატონ ჯუმბერს გზა დაულოცეს და ამ მოგზაურობის სამახსოვროდ, ფიალა და დოქი გვაჩუქეს.

წინ ილემია, იმერეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი. აქ დილის ათის ნახევრიდან, გველოდება ბიჭიკო სულიაშვილი — ბატონ ჯუმბერის მეგობარი.

— იმერეთში ქათამი სტუმარს რომ დაინახავს, თვითონვე დებს ჯირკზე თავს, — ხუმრობს ბატონი ამირან აბესაძე, ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი და ჩვენს, ისედაც [illegible] გასტრონომიულ რეცეპტორებს, უფრო მეტად აღიზიანებს.

ერთ-ერთი ეზოდან ხელს გვიქნევენ. იმერული შეხვედრა ზენიტშია. ამ ოჯახში გავიცანით, აგრეთვე ბატონ ბიჭიკოს კარის მეზობელი, ბატონი გოგი ნადირაძე — მეფუტკრე (ადრე იგი მეფუტკრეობას ასწავლიდა საგურამოში — წინამძღვრიანთ კარში), რომლის გამოგზავნილ თაფლს უმადლის ბატონი ჯუმბერი, თავისი რეკორდების ნახევარს. ილემური თაფლის საუკეთესო თვისებებში ჩვენც მალე ვრწმუნდებით.

საგულისხმოა, რომ ბატონი გოგი სპორტის ოსტატი ყოფილა ველოსპორტში და პირველთანრიგოსანი კრივში (ეს უკანასკნელი სახეობა მგონი ჩვენს შესაშინებლად გვითხრა).

მაგონდება რომ დარდებს ვაგროვებ და თონეში ჩაკიდებულ, ძელზე გაკრულ ციკანთან მოფუსფუსე, მასპინძლის ბიძაშვილს ბატონ ემზარ სულიაშვილს ვიწვევ სასაუბროდ.

დარდი N 5: ჩემი ყველაზე დიდი დარდი საქართველოა. 60 წლის კაცი ვარ და ათმაგზე გადავხტები, საკუთარ სახლს კრამიტს გადავხდი, ოღონდ მაგი არ დამიჩაგრონ. აფხაზეთში მინდოდა წასვლა, ჯანი მერჩის, ერთს რომ დავარტყა მეორეს წავაქცევ, მაგრამ არ გამიშვეს. რა მაქვს დასამალავი, ახალგაზრდობაში ხულიგანი ვიყავი, არავის ეგონა თუ საქმეს მოვკიდებდი ხელს, დღეს პირადად კარგად ვარ, სტუმრის მიღების არ მცხვენია, მაგრამ რად გინდა, მთელი ქვეყანა ერთმანეთზეა გადაკიდებული. ქართველებმა ერთმანეთს უნდა დავუჯეროთ. სხვანაირად არაფერი გვეშველება. ქალაქელები მეცოდებით ნამეტნავად ხელფასზე მაცხოვრებლები. ჩემი ცოლისთვის ხშირად მითქვია, ბაზარში ჭირნახულს რომ ყიდის — თუ გაჭირვებული ნახო ფული არ გამოართვა მეთქი.

კიდე ერთი მინდა ვთქვა, მიწები დარიგდა არასწორად. მთავრობამ ფეხებზე დაგვიკიდა გლეხები.

ჯუმბერიც მადარდებს ძალიან. სად მიდის, ვინ იქნება მისი პატრონი და მფარველი?

იმერული სტუმარ-მასპინძლობა წინასწარ შედგენილ გრაფიკში არ თავსდება, მიუხედავად ამისა დგება განშორების ჟამი და ვემშვიდობებით „მასპინძელსა მხიარულსა“.

ძალლები მოგზაურის ფინაალდმდეგ

მალე ზესტაფონში ჩავალთ. ზოგი ჭირი მარგებელიაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი: ეკონომიკური სიდუხჭირის გამო აღარ ხრჩოლავენ ცასაწვდილი მილები, აღარ სწამლავენ გარემოს.

თერჯოლის გადასახვევთან ბატონ ჯუმბერს მთვრალი ავტომატიანები გადაუდგნენ. აშკარად შარზე იყვნენ, მაგრამ აქ საქმეში ჩაერია ჩვენი დაცვა — რუსთავიდან საგანგებოდ გამოყოლილი პოლიციის კაპიტნები — რეზო იობიძე და ირაკლი ჯაჯანაშვილი, და საქმე აღარ გართულებულა. სიტყვამ მოიტანა და ასეც რომ არ მომხდარიყო, ამ ორი ადამიანის წარდგენას მაინც ვაპირებდით, რადგან მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს ჩვენს უსაფრთხოებაში. სხვათაშორის, ორივე ყოფილი სპორტსმენია — პირველი ფრენბურთელი, მეორე ავტომრბოლელი. ეგ არის, ბატონი რეზო ბუნებამ დაჩაგრა სიმაღლეში — 4 სანტიმეტრი დააკლო... ორ მეტრს.

... ქუთაისის შესასვლელის, საკმაოდ რთული აღმართი გაუჭირვებლად დასძლია ბატონმა ჯუმბერმა.

ქალაქის მერმა, ბატონმა თეიმურაზ შაშიაშვილმა მოგვიბოდიშა — არ ვიცოდი თუ ჩვენს ქალაქში შემოვლას აპირებდითო წარ მაცეა [illegible] ურვა და დაგვემშვიდობა.

სოფელ ფარცხანაყანებთან ჩვენს მოგზაურს სერიოზული გამოცდა მოუწყვეს ძაღლებმა. შვიდი ზორსა ძაღ-

(გაგრძელება მე-8 გვ.)

კაცი-პერპეტუუმ-მობილე

ანუ მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურის ნაკვალევზე

(დასასრული)

ლი შეუპოვრად ცდილობდა, რომ ეს მოგზაურობა, მაინცდამაინც ამ სოფელში დამთავრებულიყო. მათ ვერ გაითვალისწინეს ის, რომ ბატონი ჯუმბერი საგანგებოდ ემზადებოდა ძაღლების მოსაგერიებლად. საამისოდ ბევრი ილეთიც დაამუშავა, თუმცა თავისი საბრძოლო არსენალი მთლიანად არ გამოუყენებია, დროზე წამოშველნენ პოლიციელები.

ჯიხაიში, მამა-პაპურ მიწაზე

სოფელ დიდი ჯიხაიშისკენ გადავუხვიეთ და ერთ, უპატრონობისგან გავერანებულ, მიწის ნაკვეთთან შევჩერდით. აქ მდგარა სახლი, სადაც ბატონი ჯუმბერის მამა დავითი დაიბადა. 13 და-ძმიდან ექვსი კომუნისტებს დაუხვრეტიათ. მამა ცნობილი ადვოკატი (იგი კარგა ხანს მოსკოვში მუშაობდა) ამავე კომუნისტებმა მოწამლეს.

მასპინძელმა „გულის ტკივილით გვითხრა, რომ სოფლის მესვეურებმა მამა-პაპური მიწის დაბრუნებაზე უარი უთხრეს, თუმცა კანონით ეკუთვნოდა.

მხედრიონელები და დეკანოზი

სამტრედია იყო მეორე პუნქტი, სადაც ღამე უნდა გაგვეთია, მაგრამ ამ სურვილს, თურმე განხორციელება არ ეწერა, რადგან ერთადერთი სასტუმრო აფხაზეთიდან ლტოლვილებითა და მხედრიონელებით იყო გადატვირთული. ის რომ სამტრედიაში თავშესაფარს არ მოგვცემდნენ, „ოპერატიულად“, სულ რაღაც ოთხ საათში გაიკვა. თუმცა ის დრო, ჩვენ ჟურნალისტებმა საკმაოდ ნაყოფიერად გამოვიყენეთ. ბატონმა გვანჯმანიამ მხედრიონელთა და სასტუმროს აუდიტორიის წინაშე საინტერესოდ ისაუბრა ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე და მის მოგზაურობაზე. შემდეგ, თვითონ მოგზაურმა ილაპარაკა, რა მნიშვნელობა აქვს მკლავებზე აზიდვას და იქვე პრაქტიკულად უჩვენა ამ ვარჯიშის სწორად შესრულება.

აქვე გავიცანით სამტრედიის რაიონის სოფელ ხუნჯულაურის დეკანოზი რევაზ კოხრეიძე. იგი ადრე კარგი მძლეოსანი ყოფილა. შემდეგ თეატრალური ინსტიტუტი დაუმთავრებია და სახასიათო როლებსაც ასრულებდა. მისი თაყვანისმცემლები თურმე ჟორჟოლიანსაც კი ადარებდნენ. პარალელურად სკეტჩებსაც სწერდა. დეკანოზი დაგვპირდა, რომ 30 000 კუპონს გადმორიცხავდა ჯუმბერ ლეჟავას სამოგზაურო ფონდში.

დარდი N 6. დეკანოზი რევაზ კოხრეიძე: აგერ აქვე, პარკის ტერიტორიაზე ეკლესიას ვაშენებთ (პროექტი გვაჩვენა). თავიდან თითქოს კარგად მიდიოდა საქმე, მოსაპირკეთებელი ძვირფასი თეთრი ქვა მოვიტანეთ, თუნუქის სახურავიც, მაგრამ რად გინდა, საქმემ წინ ვერ წაიწია. უხარისხო აგურით გვაძალებდნენ ეკლესიის აშენებას. ჩემმა მტკიცებამ, რომ ვერ გასჭრა, ორი აგური დავაყენე ვერტიკალურად, მესამე კიდეებით დავადე, გაშლილი ხელი ჩამოვკარი და შუაზე გადავტეხე. ეს იყო და ეს, ხმა აღარ ამოუღიათ.

ამასობაში, ის თეთრი ქვა და სახურავის თუნუქი სანახევროდ მოიპარეს. არ მოერიდნენ იმას, რომ ეკლესიისთვის იყო განკუთნილი და ღმერთი დასჯიდათ.

სამტრედიაში ადგილობრივი გამგეობის რჩევით გადაწყდა, რომ დაძაბული სიტუაციის გამო სენაკში აღარ შეგვეკლო. ამან ბატონ ჯუმბერს ძალიან დასწყვიტა გული, რადგან მისი მსოფლიო მოგზაურობის მისია ხომ სამშვიდობოა.

ჯემალ კასრაძე

ჩვენი სპეციკორი

დასასრული შემდეგ ნომერში

— მკითხველთა წერილებიდან —

მედიკოსები მოითხოვენ

ოც წელზე მეტია ენგურჰესის მშენებლობაზე ფუნქციონირებს და ჰიდროშენებელთა ჯამრთელობის დაცვის საქმეს ნაყოფიერად ემსახურება მედიკო-სანიტარული ნაწილი, რომლის შემადგენლობაში არის საავადმყოფო-პოლიკლინიკა ქალაქ ჯვაროში, ამბულატორია-პოლიკლინიკა და დასახლება ფოცხოეწერში, გალის რაიონის დაბა საბერიოში, დასახლება ციცხვაროში.

ქ. ჯვარი დაშორებულია ზუგდიდს ოცდაათი კილომეტრით, წალენჯიხის რაიონს თვრამეტი კილომეტრით. ყველა ახლომდებარე სოფლების მოსახლეობის საექიმო დახმარებას აღნიშნული მედიკო-სანიტარული ნაწილი ეწევა.

ენგურჰესის მშენებლობის მედიკო-სანიტარული ნაწილი უშუალოდ შედიოდა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის დაქვემდებარებაში, ხოლო მთავრობის ამასწინანდელი დადგენილებით იგი გადაეცა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს.

ენგურჰესის მშენებლობის მედიკო-სანიტარული ნაწილის რესპუბლიკური დაქვემდებარების გარეშე დატოვება, მისი სტრუქტურული რეორგანიზაცია და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის გადაცემა გამოიწვევს წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული და ადაპტირებული დაწესებულების დაქუცმაცებას და რამდენიმე რაიონის ტერიტორიაზე მომუშავე ჰიდროშენებელთა რაიონულ ცენტრებს დაშორებული სოფლების მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონის დაქვეითებას.

ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია რეგიონში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციაც და ის გართულებებიც, რომლებიც ამ ძძლება წარმოშვას არსებული სტრუქტურების რღვევამ, არასტაბილურობის ფონზე. ამასთან დიდია ამ რეგიონში ლტოლვილთა რაოდენობაც.

აღნიშნულის გათვალისწინებით მოვითხოვთ რესპუბლიკის ხელისუფალთაგან მედიკო-სანიტარული ნაწილი დარჩეს ცალკე ერთეულად, როგორც გამონაკლისი და ასევე დარჩეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში.

იმედი გვაქვს, რესპუბლიკის პარლამენტი და ხელისუფლების სათანადო ორგანოები გაითვალისწინებენ ჩვენს მოთხოვნას.

სოსო ფიფია

მთავარი ექიმი
ენგურჰესის მშენებლობის
მედიკო-სანიტარული ნაწილის
მუშაკების სახელით

იური პატარაძე

23 აგვისტოს 24 წელი შეგისრულდებოდა, 24 ივნისს სოხუმჰესთან დაცემულ ბიჭს.

არაფერი გამორჩეული და განსაკუთრებული არ ყოფილა შენს ბიოგრაფიაში. სკოლის წლები გორის რაიონის ლამაზ სოფელ შინდისში, სამხედრო სამსახური და მერე ავადატროკებული „შინაურის“ წინააღმდეგ ომი იქვე შენი სოფლის ახლოს — ცხინვალთან. იქ მოხდა შენი საბრძოლო ნათლობა და მას შემდეგ იარაღი არ დაგიდია ძირს, რადგან სამშობლოს უჭირდა.

აფხაზეთიდან ბოლო ჩამოსვლისას სამხედრო ბილეთი დაგიმალა დედამ და ისიც ჩვეულებრივი სიტყვებით დაგიმშვიდებია — „მე რომ არ წავიდე, სხვა რომ არ წავიდეს, სამშობლოს ვინ დაიცავსო“.

ვაუკაცურად შებმიხართ ჩასაფრებულ მტრებს, მაგრამ სიმრავლით გაჯობეს. მუდამ ასე იყო ჩვენი ბედისწერის შავ წიგნში — ვაუკაცობით ვჯობდით, სიმრავლით გვძალავდნენ.

ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ, შენი და შენი თანამებრძოლების სამშობლოსათვის შეწირული სიცოცხლე იქნება ამ გამარჯვების ყველაზე დიდი საფუძველი.

მეგობრები

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს!

იმ წუთიდან, როცა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს გარეშე მტრისა თუ გაქსუებული „შინაურის“ საფრთხე დაემუქრა, სახალხო ფრონტის წევრები იარაღით ხელში დადგნენ იქ, სადაც სამშობლოს ყველაზე მეტად უჭირდა. ქვემო თუ შიდა ქართლის, ახლა კი აფხაზეთის მოსახლეობისათვის ფრონტელები იმედად იდგნენ და სისხლით რწყავდნენ საქართველოს მიწას.

ეს ბიჭებიც აფხაზეთში დაეცნენ. ბევრი მტერი სამუდამოდ ჩააწვინეს მიწაში და გმირების სახელს ეზიარნენ.

საქართველოს სახალხო ფრონტი

თამაზ ტოროშელიძე

ვლადიმერ ჯავახიშვილი

გია ირემაშვილი

ვლადისლავ ლუბოვსკი

რომან ქართველიშვილი



გელა ირემაშვილი

სერგო ქსოვრელი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
სერგო ჯანაშია

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ჯემალ კასრაძე
ვახტანგ კომახიძე
მერაბ მაისურაძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
80 კუპონი